


## შპს „ბახვი 2“

### ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის

გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის  
საკითხების 2025 წლის ანგარიში





სარჩევი

აკრონიმები ..... 2

შესავალი ..... 3

ვინ ვართ ჩვენ..... 3

ბახვი 2 ჰესის შესახებ..... 4

საქმიანობის მაჩვენებლების განხილვა ..... 4

მდგრადი მომავლის ამოცანები და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობა ..... 8

გარემოსდაცვითი მაჩვენებლები ..... 10

შესაბამისობა ეროვნულ კანონებსა და რეგულაციებთან ..... 21

შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა..... 22

ადგილობრივი სამუშაო ძალის მართვა ..... 26

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა..... 27

სოციალური პროგრამა ..... 31

მმართველობის პრაქტიკა ..... 34

დასკვნა..... 35

დანართი 1. 2025 წელს ჩატარებული კვლევების რაოდენობა, მიმართულებები და კვლევის განმახორციელებლები ..... 36

დანართი 2. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ინციდენტების ჟურნალი ..... 37

დანართი 3. მთისპირის თემთან 2021 წელს ხელმოწერილი მემორანდუმი..... 39



აკრონიმები

აკრონიმები	განმარტება
CLO	თემის მობილიზატორი
EIA	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
ESG	გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები
HPP	ჰიდროელექტროსადგური
kW	კილოვატი
kWh	კილოვატ-საათი
LLC	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
MW	მეგავატი
NEA	გარემოს ეროვნული სააგენტო
SDG	მდგრადი განვითარების მიზნები
SEP	დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა
UN	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

## შპს „ბახვი 2“

### ბახვი 2 ჰესის

## გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის საკითხების წლიური ანგარიში

### შესავალი

მოცემული დოკუმენტი, რომელიც მომზადდა 2025 წელს, წარმოადგენს ბახვი 2 ჰესის გამჭვირვალობის საუკეთესო მაგალითს და ხაზს უსვამს ჩვენ ერთგულებას მდგრადი განვითარების პრინციპების და პასუხისმგებლიანი ბიზნესის წარმოების მიმართ. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების ყოვლისმომცველი წლიური ანგარიში ასახავს ჩვენს მიღწევებს, ჩვენ მიერ გადალახულ გამოწვევებს და იმ საგულისხმო წარმატებებს, რომელთა საშუალებით მდგრადი მომავლის შექმნას ვისახავთ მიზნად.

ანგარიშგების პერიოდი ბახვი 2 ჰესის განვითარებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა. 2025 წლის პირველი ნახევარი ხასიათდებოდა აქტიური სამშენებლო საქმიანობით, ჰესის ტერიტორიაზე ინტენსიური საველე აქტივობებითა და ძირითადი საინჟინრო სამუშაოების განხორციელებით. წლის მეორე ნახევარში კი ბახვი 2 ჰესის საქმიანობა ეტაპობრივად გადავიდა მშენებლობის დასკვნით ფაზაზე, რაც მოიცავდა ნაგებობების მშენებლობის დასრულებას, ჰიდრომექანიკური და ელექტრომექანიკური დანადგარების მონტაჟს, შესაბამისი სისტემების გამართვას და ყველა იმ აქტივობას, რაც საჭიროა ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებისთვის.

აღნიშნული ფაზა მოითხოვდა გარემოსდაცვითი მონიტორინგის უწყვეტ უზრუნველყოფას, სამუშაო ძალის ეფექტიან კოორდინაციას და დაინტერესებულ მხარეებთან აქტიური კომუნიკაციის შენარჩუნებას, რადგან ჰესი მშენებლობის დასრულების ეტაპს უახლოვდებოდა.

მოცემული ანგარიში არა მხოლოდ გასული წლის შეჯამებაა, არამედ წარმოადგენს სტრატეგიულ ხედვას ჩვენი მომავალი მდგრადი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ. ხედვა, სადაც განახლებადი ენერჯია და პასუხისმგებლიანი ბიზნეს პრაქტიკები ერთიანდება, რათა შევქმნათ უკეთესი და მდგრადი ქვეყანა ყველასთვის. მადლობას ვუხდით ჩვენს გუნდს და თითოეულ დაინტერესებულ მხარეს, ჩართულობისა და თანადგომისათვის. ერთობლივად, ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ რეალურ და მნიშვნელოვან ცვლილებებს.

### ვინ ვართ ჩვენ

შპს „ბახვი 2“ (შემდგომში - „კომპანია“) გურიის რეგიონში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, კერძოდ მდინარე ბახვისწყალზე ახორციელებს ჯამური 35.4 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „ბახვი 2“ ჰესის (ბახვი 2ა, ბახვი 2ბ) მშენებლობას სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 29 მაისის N241/ს ბრძანებით განსაზღვრული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად. კომპანიის ინვესტორები არიან „კავკასიის განახლებადი ენერჯის ჰოლდინგი“ (სი-სი-ი-ეიჩ), ავსტრიული საინვესტიციო ფონდი „ილაგი“ და სხვა სპეციალიზებული ინვესტორები ავსტრიიდან და საქართველოდან. „კავკასიის განახლებადი ენერჯის ჰოლდინგის“ ინვესტორები კი თავის მხრივ, არიან ცნობილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ამერიკიდან და ევროპული ქვეყნებიდან (მათ შორის - ევროპის საინვესტიციო ბანკი [EIB], ჰოლანდიის განვითარების ბანკი [FMO], ავსტრიის განვითარების ბანკი [OeEB] და სხვა). აღსანიშნავია, რომ ავსტრიული საინვესტიციო ფონდი „ილაგი“ ფლობს მრავალფეროვან ბიზნეს პორტფელს რამდენიმე დასავლურ ქვეყანაში.

„ბახვი 2“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ხორციელდება მდ. ბახვისწყალზე ზღვის დონიდან 1 378-506 მ ნიშნულზე შორის. პროექტი ითვალისწინებს 2 სადგურის მოწყობას, ბახვი 2ა, რომლის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 11.6 მგვტ-ს და ბახვი 2ბ, რომლის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 23.8 მგვტ-ს.

## **ბახვი 2 ჰესის შესახებ**

„ბახვი 2ა“ სადგური წარმოადგენს ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესს, რომლის შემადგენლობაშია სათავე ნაგებობა, სადაწნეო სისტემა და მიწისზედა ჰესის შენობა, სადაც განთავსებულია ელექტროენერჯის გამომუშავებისთვის საჭირო ყველა ელექტრო და მექანიკური აღჭურვილობა. ელექტროსადგურის სრული დაწნევა შეადგენს 311.55 მ-ს, ხოლო საპროექტო წყლის ხარჯი შეადგენს 4.6მ<sup>3</sup>/წმ-ს. საშუალო წლიური გამომუშავება იქნება 45.5 გვტ/სთ.

„ბახვი 2ბ“ წარმოადგენს ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესს, რომლის შემადგენლობაშია სათავე ნაგებობა, სადაწნეო სისტემა და მიწისზედა ჰესის შენობა. ელექტროსადგურის სრული დაწნევა 551.2 მ-ია, ხოლო საპროექტო ხარჯი 5.3მ<sup>3</sup>/წმ. საშუალო წლიური გამომუშავება შეადგენს 92.8 გვტ/სთ-ს.

შპს „ბახვი 2“ საკუთარ საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების IFC-ისა და EIB-ის მიერ დადგენილი გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან სრული შესაბამისობით.

## **საქმიანობის მაჩვენებლების განხილვა**

### **a. მიწოდების ჯაჭვის მდგრადობა**

2025 წლის განმავლობაში ბახვი 2 ჰესის შესყიდვების პროცესი მიმართული იყო დარჩენილი სამშენებლო სამუშაოებისთვის აუცილებელი მასალების, აღჭურვილობისა და მომსახურებების დროულ შესყიდვაზე. წლის პირველ ნახევარში აქტიურად მიმდინარეობდა სამშენებლო მასალებისა და ტექნიკური აღჭურვილობის შესყიდვა, ასევე დარჩენილი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო ტექნიკური და სხვა შესაბამისი მომსახურებების მიღება. წლის მეორე ნახევარში, სამშენებლო სამუშაოების ინტენსივობის ეტაპობრივი შემცირების პარალელურად, შემცირდა შესყიდვების მოცულობაც და ძირითადი ყურადღება დაეთმო დარჩენილი სამუშაოების დასრულებას, ინფრასტრუქტურის გამაგრებასა და ტექნიკური საჭიროებების უზრუნველყოფას.

ანგარიშგების პერიოდში ბახვი 2 ჰესი მიწოდების ჯაჭვის მართვაში ინარჩუნებდა გამჭვირვალე, ეფექტიან და პასუხისმგებლიან მიდგომას. ადგილობრივი ეკონომიკის მხარდაჭერა კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩებოდა. ტექნიკური და ეკონომიკური მიზანშეწონილობის ფარგლებში, სურსათისა და სხვადასხვა მომსახურების შესყიდვა, შეძლებისდაგვარად, ხორციელდებოდა მიმდებარე თემებში მოქმედი ადგილობრივი ბიზნეს სუბიექტებისგან, მათ შორის ლოგისტიკის, საცხოვრებელი ბანაკის ფუნქციონირების, ტრანსპორტირებისა და ტექნიკური მომსახურების მიმართულებით.

ამასთანავე, სპეციალიზებული დანადგარებისა და ტექნიკური კომპონენტების ნაწილი, მათი ტექნიკური თავისებურებებიდან გამომდინარე, კვლავ საერთაშორისო მომწოდებლებისგან შემოდიოდა. მომწოდებლებთან თანამშრომლობა ხორციელდებოდა სახელშეკრულებო პირობებისა და მომწოდებელთა ქცევის კოდექსის საფუძველზე, რომელიც მოიცავს სამართლიანი შრომითი პრაქტიკის, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, ანტიკორუფციის, შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, ასევე გარემოს დაცვის ძირითად პრინციპებს.

### **b. საზოგადოების ჩართულობა**

2025 წლის განმავლობაში ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა აქტიურ და სისტემურ ფორმატში გაგრძელდა და მიზნად ისახავდა მშენებლობის მიმდინარე ეტაპზე ღია, უწყვეტი და ნდობაზე დაფუძნებული კომუნიკაციის უზრუნველყოფას. ბახვი 2 ჰესი ინარჩუნებდა მუდმივ კომუნიკაციას ჰიდროელექტროსადგურის ზემოქმედების ქვეშ მყოფ მთისპირის თემში მცხოვრებ 171 ოჯახთან, რაც დაახლოებით 500 მოსახლეს შეადგენს. მოცემული კომუნიკაცია



უზრუნველყოფდა დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას, მათთვის ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო არხების მეშვეობით.

2025 წელს კარდაკარ საინფორმაციო შეხვედრები აღარ ჩატარებულა, რადგან იმ მასშტაბის პირდაპირი კომუნიკაცია, რომელიც მშენებლობის ადრეულ ეტაპზე იყო აუცილებელი, მშენებლობის დასრულების ფაზაზე საჭიროებას აღარ წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, კვლავ რიგდებოდა ყოველთვიური ახალი ამბების ფურცელი. ბახვი 2 ჰესის მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაცია სისტემატურად ვრცელდებოდა ადგილობრივი მედიის საშუალებებითაც.

2025 წლის განმავლობაში ძირითადი ყურადღება დაეთმო დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას მიმდინარე სამუშაო პროცესებისა და სოციალური და გარემოსდაცვითი პროგრამების განხორციელების შესახებ. პროექტის დასკვნით ეტაპამდე ადგილობრივ მოსახლეობასთან ადრეული კომუნიკაცია დამყარდა მშენებლობის დასრულებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი ცვლილებებისა და სამუშაო ძალის შემცირების შესახებ.

წლის განმავლობაში მიღებული უკუკავშირი ბახვი 2 ჰესს დაეხმარა ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი საკითხების კიდევ უფრო ეფექტურად მართვაში, სამუშაოების დასრულების ვადებისა და დასაქმებასთან დაკავშირებული მოლოდინების თვალსაზრისით.

დამატებითი დეტალებისთვის დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისა და ჩართულობის შესახებ, გთხოვთ, გაეცნოთ დოკუმენტის შესაბამის თავს [დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა](#).

**c. ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია**

2025 წელს, სამშენებლო სამუშაოების მოცულობის შემცირების მიუხედავად, ბიომრავალფეროვნების დაცვა ბახვი 2 ჰესის უმთავრესი პრიორიტეტი იყო. უწყვეტ რეჟიმში გაგრძელდა კომპლექსური გარემოსდაცვითი აქტივობების აღსრულება, მათ შორის, შემარბილებელი ღონისძიებების გატარება. აღნიშნული მიდგომა დაგვეხმარა, მინიმუმამდე შეგვემცირებინა, ხოლო სადაც შესაძლებელი იყო სრულად აგვერიდებინა თავიდან მდინარე ბახვისწყლის ხეობის ბიომრავალფეროვნებაზე პოტენციური ზეგავლენა.

საპროექტო არეალის ბიომრავალფეროვნების, მდინარე ბახვისწყლის ბიომრავალფეროვნების, გეოლოგიის, ჰაერის ხარისხის კვლევები მშენებლობის ეტაპზე გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და მისი მინიმუმამდე შემცირების პროცესში უმთავრესი კომპონენტები იყო.

მთლიანობაში, 2025 წლის განმავლობაში ჩატარდა 20 კვლევა, რომლის მიზანი გარემოს სხვადასხვა კომპონენტის შესახებ ზუსტი და ამომწურავი ინფორმაციის შეგროვება და ინტეგრირებული მონიტორინგის უზრუნველყოფა იყო. დამატებითი ინფორმაცია კვლევების სიხშირის, შემსრულებელი სპეციალისტებისა და მიღებული შედეგების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ

[გარემოსდაცვითი მაჩვენებლები](#) ისევე როგორც [დანართი #1. 2025 წელს ჩატარებული კვლევების რაოდენობა, მიმართულებები და კვლევის განმახორციელებლები](#).

**d. ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება და სამუშაო ძალის მობილიზება**

2025 წელს ბახვი 2 ჰესის მშენებლობა კვლავ მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს გურიის ეკონომიკის გაძლიერებას ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების, სამუშაო ძალის პროფესიული უნარების განვითარების და მიმდებარე თემების მიერ შემოთავაზებული სერვისებით სარგებლობის გზით. 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ჰიდროელექტროსადგურზე დასაქმებული იყო 159



ადამიანი, რომელთაგან 45% ადგილობრივი, მთისპირის თემის წარმომადგენელი იყო. დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2025 წლის ივნისში - ამ პერიოდში ბახვი 2 ჰესის მშენებლობაზე 226 ადამიანი მუშაობდა.

ადგილობრივი მოსახლეობა მთლიანი სამუშაო ძალის დაახლოებით 45%-ს შეადგენდა, ხოლო ადგილობრივი დასაქმებულებიდან დაახლოებით 23% ქალები იყვნენ, რაც ინკლუზიური დასაქმების პრაქტიკის ხელშეწყობისკენ მიმართულ ძალისხმევას ასახავს.

ბახვი 2 ჰესის უკლებლივ ყველა თანამშრომელი სამუშაო ადგილზე 2025 წლის ბოლომდე იყო მობილიზებული. ოქტომბერში როგორც ადგილობრივ, ისე სხვა რეგიონიდან დასაქმებულ თანამშრომლებს წინასწარ ეცნობათ, რომ მშენებლობის დასრულების ფაზასთან მიახლოების პარალელურად, ნოემბერსა და დეკემბერში ისინი ნახევარ განაკვეთიან სამუშაო რეჟიმზე გადავიდოდნენ. აღნიშნული პროცესი განხორციელდა თანამშრომელთა ეტაპობრივი შემცირების ყოვლისმომცველი გეგმის საფუძველზე, მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნებისა და კარგი საერთაშორისო პრაქტიკის სრული დაცვით განხორციელდა.

შედეგად, წლის ბოლოს, მთისპირის თემიდან დასაქმებული 49 თანამშრომლისთვის შრომითი ურთიერთობა თანამშრომელთა ეტაპობრივი შემცირების გეგმის ფარგლებში დასრულდა. აღსანიშნავია, რომ 14 ქალის დასაქმება 2026 წელს კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში გაგრძელდება, რადგან გარდამავალ პერიოდში კვლავ საჭირო იქნება საცხოვრებელი ზანაკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულება.

**e. საჩივრების მექანიზმი და გამჭვირვალობა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციაში**

2025 წლის განმავლობაში კვლავ სრულიად გამართულად ფუნქციონირებდა ბახვი 2 ჰესის საჩივრების მექანიზმი. ანგარიშგების პერიოდში კომპანიამ მიიღო 24 თხოვნა, რომელთაგან 2 განმცხადებლის მიერ მოგვიანებით მოიხსნა, რის შედეგადაც განხილვაში დარჩა 22 საკითხი. 15 მათგანი დაკმაყოფილდა, მათ შორის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ტექნიკის დროებით თხოვება, ადგილობრივი საბავშვო ბაღისთვის ინტერნეტის მომსახურების საფასურის დაფინანსების გაგრძელება და სპორტსმენის ფინანსური მხარდაჭერა. დაუკმაყოფილებელი მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა ექსკურსიების დაფინანსებას, ბიბლიოთეკისთვის ფარდების შეძენასა და კონცერტებში მონაწილეობის ხარჯების დაფარვას.

2025 წლის 9-16 მაისის პერიოდში მთისპირში რამდენჯერმე გადაიკეტა სოფლის ცენტრალური გზა. პროტესტს სოფელ მთისპირის და მშვიდობაურის მაცხოვრებლები გამოხატავდნენ. უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ გზის გაფუჭებული მონაკვეთების გამო მოითხოვდნენ ასფალტის დაგებას. ვითარების განმუხტვისა და დროებითი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, კომპანიამ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან და გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებულთან თანამშრომლობით განახორციელა რიგი ღონისძიებები, მათ შორის განაგრძო გზების მოხრეშვისა და მოსწორების სამუშაოები, კიდევ უფრო გამკაცრდა სიჩქარის კონტროლი, მეტად შეიზღუდა ღამის საათებში სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილება. თავის მხრივ, 2026 წლისთვის მთისპირის ცენტრალური გზის ასფალტით მოპირკეთების სამუშაოების პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ.

**f. ბახვი 2 ჰესის სოციალური გავლენა მთისპირის თემის განვითარებაზე**

2025 წელს ბახვი 2 ჰესმა სოციალური პროგრამის განხორციელების მიმართულებით მნიშვნელოვან ეტაპს მიაღწია. მთისპირის თემთან და მუნიციპალიტეტთან გაფორმებული მემორანდუმით განსაზღვრული შვიდივე ვალდებულება პირნათლად შეასრულა. დოკუმენტის სანახავად

გთხოვთ, იხილოთ **დანართი #3. მთისპირის თემთან 2021 წელს ხელმოწერილი მემორანდუმი**. აღნიშნული ვალდებულებები მოიცავდა ადგილობრივების დასაქმებას, განათლებას, სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა დახმარებას და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მათ შორის გზის რეაბილიტაციასა და სოფელ ვანისქედში წყალმომარაგების სისტემის მოწყობას. პროგრამა თავდაპირველად მთისპირის თემში ჩატარებული საჭიროებების კვლევის საფუძველზე შემუშავდა. აღნიშნული მიდგომა ადგილობრივი მოსახლეობის პრიორიტეტებს სრულად პასუხობდა.

2025 წლის განმავლობაში კვლავ აქტიური იყო ხუთი სოციალური პროექტი, რომლებიც ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, განათლების ხელშეწყობასა და სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა მხარდაჭერაზე იყო ორიენტირებული. აღნიშნული ინიციატივების მეშვეობით, ბახვი 2 ჰესი ხელს უწყობდა თემის კეთილდღეობასა და მდგრად ადგილობრივ განვითარებას, პარალელურად კი ინარჩუნებდა კონსტრუქციულ ურთიერთობას ჰიდროელექტროსადგურის გავლენის არეალში მყოფ მოსახლეობასთან.

### **გ. სოციალური პროგრამების დასრულების სტრატეგია**

სოციალური პროგრამების დასრულების სტრატეგიის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა ყველა ძირითად დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის მთისპირის საჯარო სკოლისა და საბავშვო ბაღის დირექტორებთან. საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს განხორციელებული პროგრამების გავლენა მოსწავლეთა გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაზე და სხვა პრაქტიკული უნარების განვითარებაზე.

წინასწარ განსაზღვრული სტრატეგიის განხორციელებას განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ 2025 წელს ჰქონდა, რადგან ბახვი 2 ჰესი ძირითადი სამშენებლო საქმიანობების დასრულებას უახლოვდებოდა და ექსპლუატაციაში გაშვების ფაზაზე გადადიოდა. ჰესის სასიცოცხლო ციკლის ამ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების მოლოდინების ეფექტიანი მართვა, რათა თავიდან იქნას აცილებული დამოკიდებულების ჩამოყალიბება, უზრუნველყოფილი იყოს ბახვი 2 ჰესის ზემოქმედებების ცვლილების მკაფიო აღქმა და შენარჩუნდეს ნდობა ადგილობრივ თემებთან. აღნიშნულმა მიდგომამ კომპანიას შესაძლებლობა მისცა პასუხისმგებლიანად დაესრულებინა სოციალური პროგრამები, გაემყარებინა გამჭვირვალე კომუნიკაცია და ხელი შეეწყო მშენებლობიდან ოპერირების ეტაპზე შეუფერხებელი გადასვლისთვის.

### **h. უნარების განვითარება და ცოდნის გადაცემა**

ანგარიშგების პერიოდში ბახვი 2 ჰესზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები კვლავ პროფესიული განვითარების და პრაქტიკული გამოცდილების მიღების მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნიდა.

კვალიფიციურ, ნახევრად კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ კატეგორიებში მომუშავე თანამშრომლები ჩართულნი იყვნენ სამშენებლო სამუშაოებში, მექანიკური მოწყობილობების მონტაჟში, ლოგისტიკაში, საცხოვრებელ ბანაკთან დაკავშირებულ მომსახურებაში, ასევე შრომის უსაფრთხოების, უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით მიმართულებებში, რაც ხელს უწყობდა მათი პროფესიული კომპეტენციის გაძლიერებას.

ამავდროულად, კომპანიამ ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერა გააგრძელა დამატებითი ტრენინგების თანადაფინანსების მოდელის მეშვეობით, რაც თანამშრომლებს აძლევდა შესაძლებლობას გაეღრმავებინათ პროფესიული განათლება და განევიითარებინათ უნარები. კერძოდ, 12 თანამშრომლისთვის ჩატარდა ხელოვნური ინტელექტის ცნობიერების ამაღლების ტრენინგი, რომელიც ორიენტირებული ყოველდღიურ



სამუშაო პროცესში იყო ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლიანი და გააზრებული გამოყენების მნიშვნელობაზე.

**მდგრადი მომავლის ამოცანები და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობა**

ჩვენ მზად ვართ, გავაძლიეროთ მომავალი გარემოზე ზრუნვით. ჩვენი მისია ნათელია: ვაწარმოოთ მდგრადი ენერჯია, დავიცვათ გარემო და ჩვენი საქმიანობა პასუხისმგებლობით შევასრულოთ.

სიამაყით წარმოვადგენთ 2025 წლის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების წლიურ ანგარიშს და გვჯერა, რომ დღეისათვის მდგრადობა უკვე სავალდებულოა და ის მთელ მსოფლიოში ნებისმიერი პასუხისმგებლიანი კომპანიის სამუშაო პროცესის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

შპს "ბახვი 2" წარმოადგენს პასუხისმგებლიან ბიზნესს და წარმოაჩენს საკუთარ ერთგულებას გარემოსდაცვითი საკითხებისადმი. სწორედ ამიტომ, კომპანიამ საკუთარი საქმიანობა დაუკავშირა გაეროს გლობალური შეთანხმების ძირითად პრინციპებს.

კომპანია ჯერ კიდევ ფორმალურ წევრობამდე, აქტიურად უჭერდა მხარს და იცავდა გაეროს გლობალური შეთანხმების ძირითად პრინციპებს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჩვენ ერთგულებას ეთიკური, მდგრადი და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე პრაქტიკისადმი. ჩვენი ქმედებები სრულად შეესაბამება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის, სოციალური სამართლიანობისა და ეფექტიანი მმართველობის გლობალურ სტანდარტებს. შპს "ბახვი 2" ნებაყოფლობით იცავდა გაეროს გლობალური შეთანხმების პრინციპებს და დღემდე პოზიციონირებს, როგორც პასუხისმგებლიანი კორპორატიული სუბიექტი, რომელიც საკუთარ საქმიანობას, გარემოს რესურსების რაციონალური გამოყენების, სოციალური პასუხისმგებლობის და ეთიკური მმართველობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმართავს.

2025 წელს ჩვენ კიდევ უფრო გავაძლიერებთ პოზიტიური ზემოქმედება ადგილობრივ დონეზე, უზრუნველვყავით ჩვენი საქმიანობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან და ამავდროულად, დავაკმაყოფილებთ ადგილობრივი თემების საჭიროებები. მდგრადი განვითარებისკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი არის ნაბიჯი უკეთესი და ნათელი მომავლისკენ.

ქვემოთ წარმოდგენილია ჩვენი 2025 წლის მიზნები და მიღწევები, რომლებიც ასახავს ჩვენს შესაბამისობას გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) და ჩვენს ერთგულებას მდგრადი განვითარების პრინციპებისადმი.

#	ბახვი ჰესი - 2025 წლის მიზნები	კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან <sup>1</sup>	საზომი ერთეული	დასახული გეგმა '25	მიღწეული გეგმა '25
1.	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების რაოდენობა	მიზანი 1 არა სიღარიბეს	#	4	4
2.	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახების რაოდენობა	მიზანი 1 არა სიღარიბეს	#	171	171
3.	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა	მიზანი 1 არა სიღარიბეს	#	487	497
4.	სოციალურ პროექტებზე გამოყოფილი ბიუჯეტის საერთო რაოდენობა	მიზანი 1 არა სიღარიბეს	\$	67800	68500
5.	განხორციელებული სოციალური პროექტების რაოდენობა	მიზანი 1 არა სიღარიბეს	#	5	5

<sup>1</sup> 193 ქვეყნის მიერ მიღებული მდგრადი განვითარების მიზნები არის 17 გლობალური შეთანხმება, რომელიც შემუშავებულია გაეროს მიერ, რომლის მიზანია მსოფლიოს გარდაქმნა 2030 წლისთვის.



5.1	სპორტის წახალისებაზე ორიენტირებული სოციალური პროექტების რაოდენობა	მიზანი 3 ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა	#	1	1
5.2	განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	მიზანი 4 ხარისხიანი განათლება	#	2	4
5.3	საგანმანათლებლო პროგრამებით მოსარგებლე მოსწავლეების რაოდენობა	მიზანი 4 ხარისხიანი განათლება	#	35	32
5.4	განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა	მიზანი 9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა	#	1	1
5.5	გაუმჯობესებული ეკონომიკური ინფრასტრუქტურით მოსარგებლე ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა	მიზანი 9 მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა	#	487	497
5.6	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის განხორციელებული სოციალური პროექტების რაოდენობა	მიზანი 10 შემცირებული უთანასწორობა	#	1	1
5.7	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის განხორციელებული პროგრამით მოსარგებლეების რაოდენობა	მიზანი 10 შემცირებული უთანასწორობა	#	28	33
6.	სრული განაკვეთით დასაქმებულთა რაოდენობა მშენებლობის კიკში	მიზანი 8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა	#	226	226
7.	სრული განაკვეთით დასაქმებულთა რაოდენობა წლის ბოლოს	მიზანი 8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა	#	159	159
8.	სრული განაკვეთით დასაქმებულ ქალთა რაოდენობა	მიზანი 5 გენდერული თანასწორობა	#	19	22
9.	ქალების რაოდენობა კომპანიის მენეჯმენტში	მიზანი 5 გენდერული თანასწორობა	#	2	2
10.	სამეთვალყურეო საბჭოში ქალი წევრების რაოდენობა	მიზანი 5 გენდერული თანასწორობა	#	1	1
11.	ჩატარებული გეოლოგიური კვლევების რაოდენობა	მიზანი 9 მრეწველობა, ინოვაცია, ინფრასტრუქტურა	#	2	2
12.	მდინარე ბახვისწყლის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის მიზნით ჩატარებული კვლევების რაოდენობა	მიზანი 14 წყალქვეშა რესურსები	#	3 სეზონური კვლევა	3 სეზონური კვლევა



14.	ჩატარებული ბიომრავალფეროვნების კვლევების რაოდენობა	მიზანი 15 დედამიწის ეკოსისტემები	#	2 სეზონური კვლევა	2 სეზონური კვლევა
-----	--	----------------------------------	---	-------------------	-------------------

### გარემოსდაცვითი მაჩვენებლები

2025 წელს ბახვი 2 ჰესის მშენებლობა აქტიურად გაგრძელდა, განსაკუთრებით წლის პირველ ნახევარში. წლის მეორე ნახევარში სამუშაოები დასკვნით ეტაპზე გადავიდა და ძირითადად მოიცავდა ჰიდრომექანიკური და ელექტრომექანიკური ნაწილების მონტაჟსა და შემოწმებას. ჰიდროელექტროსადგურის განვითარების ორივე ფაზაზე მაღალი გარემოსდაცვითი სტანდარტების შენარჩუნება ბახვი 2 ჰესის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იყო.

კომპანიის საქმიანობა კვლავ ეფუძნებოდა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი სტანდარტებისადმი მკაფიო ერთგულებას, რაც უზრუნველყოფდა შესაბამისობას როგორც ეროვნულ მარეგულირებელ მოთხოვნებთან, ისე საერთაშორისო დონეზე აღიარებულ კარგ პრაქტიკასთან. გარემოსდაცვითი საკითხები ყოველდღიური სამუშაო პროცესების მართვის განუყოფელი ნაწილი იყო, რათა სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პოტენციური ზემოქმედება მინიმუმამდე შემცირებულიყო, შესაძლებლობების ფარგლებში კი სრულად არიდებულიყო.

გარემოსდაცვითი ღონისძიებების სისტემური და ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად გამოყენებული იყო გარემოს მონიტორინგის კალენდარი. აღნიშნული დოკუმენტი ჯერ კიდევ 2024 წელს საფუძვლად დაედო გარემოსდაცვითი აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას. დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხებისა და ტექნიკური გუნდების პასუხისმგებლობებს. 2025 წელს, კალენდარის საფუძველზე დაიგეგმა და განხორციელდა 50-ზე მეტი გარემოსდაცვითი აქტივობა. მათ შორის იყო სამშენებლო მოედნის ყოველდღიური კონტროლი, თვითური, კვარტალური და სეზონური მონიტორინგები. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების პრინციპების ყოველდღიურ საქმიანობაში ინტეგრირებითა და გარემოს მონიტორინგის გეგმის მკაცრი დაცვით ბახვი 2 ჰესი მიზნად ისახავს მინიმუმამდე დაიყვანოს ეკოლოგიური ნაკვალი და ხელი შეუწყოს პასუხისმგებლიან და მდგრად განვითარებას.

#### a. ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია

2025 წლის განმავლობაში ბიომრავალფეროვნების დაცვა ბახვი 2 ჰესის საქმიანობის ამოსავალი წერტილი იყო. საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობისა და საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესაბამისად, ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით მთელი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა გარემოსდაცვითი აქტივობები, მათ შორის საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიებთან ერთად შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს წითელი ნუსხასა და ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირში შემავალ (IUCN) საფრთხის ქვეშ მყოფ სახეობათა დაცვას.

#### ბიომრავალფეროვნება და ჯანსაღი ეკოსისტემა

ბახვი 2 ჰესი სრულად აცნობიერებს ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემის მთლიანობის დაცვის მნიშვნელობას და მზად არის მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ჰიდროელექტროსადგურის გავლენის არეალში მის შენარჩუნებას. სისტემური მონიტორინგისა და მიზნობრივი დაცვის ღონისძიებების მეშვეობით კომპანია ხელს უწყობს ადგილობრივი ჰაბიტატებისა და მათზე დამოკიდებული სახეობების დაცვას, ასევე ზემოქმედების არეალში არსებული ეკოსისტემების და სახეობების გრძელვადიან შენარჩუნებას.


ბახვი 2 ჰესი ბიომრავალფეროვნების კვლევებს ახორციელებს მესამე მხარის, დამოუკიდებელი სპეციალისტების ხელმძღვანელობით. აღნიშნული კვლევების ჩატარების მიზანი ბიომრავალფეროვნების ძირითადი კომპონენტების შეფასება და მონიტორინგია. კვლევები

ორიენტირებულია ადგილობრივი ჰაბიტატების გამოვლენასა და შეფასებაზე, ასევე საპროექტო არეალში მუდმივი და მიგრირებადი სახეობების (ცხოველების, ფრინველების, რეპტილიების, ამფიბიების, ქვეწარმავლების) აღრიცხვაზე. მონიტორინგი უზრუნველყოფს ცვლილებების დინამიკაზე დაკვირვებას და პროექტის შესაბამისობას გარემოს დაცვის ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან.

2025 წელს ჩატარებული თითოეული მონიტორინგის შედეგებმა დაადასტურა, რომ სამშენებლო საქმიანობა შეესაბამებოდა ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობითა და საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სამშენებლო არეალის ფარგლებში ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება მინიმალური იყო. დამატებით, დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ მიღებულმა მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ ანგარიშგების პერიოდში საკვლევ ტერიტორიაზე მუქმუწოვრების აქტივობა გაიზარდა, განსაკუთრებით წლის მეორე ნახევარში, სამშენებლო სამუშაოების მოცულობის შემცირების ფონზე. აღნიშნული დაკვირვება მიუთითებს, რომ მშენებლობასთან დაკავშირებული შემაწუხებელი ფაქტორების (ხმაური) ეტაპობრივმა შემცირებამ ველურ ბუნებას საშუალება მისცა უფრო აქტიურად გამოეყენებინა მიმდებარე ჰაბიტატები, რაც ადგილობრივი ეკოსისტემების მდგრადობასა და მშენებლობის ფაზაში განხორციელებული შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობას ადასტურებს.

ჯამში ჩატარდა 20 კვლევა, რომელიც მოიცავდა ბიომრავალფეროვნებას, მდინარე ბახვისწყლის ბიოლოგიურ გარემოს, გეოლოგიას, ჰაერის ხარისხს, ხმაურისა და ვიბრაციის დონეებს. თითოეული მონიტორინგი განხორციელდა გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმით განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად და წარმოადგენდა მნიშვნელოვან მონაცემებს გარემოს მდგომარეობის შეფასებისა და პოტენციური ზემოქმედების მართვისთვის.

მონიტორინგის ანგარიშის შედეგები ოფიციალურად წარედგინა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს, რომლის მხრიდან დოკუმენტების განხილვის შემდეგ შენიშვნა არ დაფიქსირებულა, რაც გარემოსდაცვით მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაზე მიუთითებს.



ფოტო #3: კვლევის დროს დაფიქსირებული ევრაზიული წავის კვალი



ფოტო #4: კვლევის დროს დაფიქსირებული შველი



**ბიომრავალფეროვნების დაცვა და შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება**

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ფარგლებში საპროექტო არეალში გამოვლინდა განსაკუთრებული დაცვის მნიშვნელობის მქონე რამდენიმე სახეობა, მათ შორის კავკასიური სალამანდრა (*Mertensiella caucasica*) ევრაზიული წავი (*Lutra lutra*) და მურა დათვი (*Ursus arctos*). კვალიფიციური ზოოლოგებისა და იქთიოლოგების მიერ ჩატარებული სავსე კვლევები ორიენტირებული იყო ჰაბიტატების მდგომარეობის შეფასებაზე, სახეობების დაფიქსირებაზე და შესაძლო ზემოქმედების ფაქტორების განსაზღვრაზე. დაკვირვების შედეგები სრული სიზუსტით ასახული იყო მონიტორინგის ანგარიშებში. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებოდა შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის იყო ჰაბიტატებისთვის ბუფერული ზონების შექმნა, სეზონური სამუშაო შეზღუდვები და დასაქმებულების ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგები.

გარემოსდაცვითი მონიტორინგის შედეგები რეგულარულად გამოიყენებოდა ჰესის გარემოსდაცვითი მართვის პროცესში და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვასა და გატარებას უწყობდა ხელს. საქმიანობა ხორციელდებოდა გამოცდილი გარემოსდაცვითი კონსულტანტების ჩართულობით, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ფარგლებში ბახვი 2 ჰესის პერიმეტრზე განთავსებული ფოტოხაფანგები სპეციალისტებს საშუალებას აძლევდა დაკვირვებოდნენ ცხოველთა გადაადგილების მარშრუტებს და უკეთ შეეფასებინათ, როგორ იყენებდნენ ველური ბუნების წარმომადგენლები მშენებლობის პერიოდში მიმდებარე ჰაბიტატებს. დამატებით, გასულ წლებში ბიომრავალფეროვნების მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში მოწყობილი ხელოვნური თავშესაფრების მონიტორინგიც გაგრძელდა, რათა შეფასებულიყო მათი ეფექტიანობა და ადგილობრივი ფაუნის მიერ გამოყენების სიხშირე.

2025 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამშენებლო სამუშაოების ზემოქმედების არეალში მოხვედრილ ტერიტორიებზე აღდგენით და გამწვანების აქტივობებს. 2025 წლის განმავლობაში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების პარალელურად ხორციელდებოდა რეკულტივაციის პროცესი, რაც ასახავს ბახვი 2 ჰესის პასუხისმგებლიან მიდგომას. შედეგად, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიების რეაბილიტაცია მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე დაიწყო, რამაც დადებითი გავლენა იქონია ჰაბიტატების აღდგენის პროცესზე. ამ პერიოდში აღსრულებულ ერთ-ერთ ძირითად შემარბილებელ ღონისძიებას წარმოადგენდა ჰიდროთესვა, რომელიც ბახვი 2 ჰესის ტერიტორიაზე, დაახლოებით 7 ჰექტარზე შესრულდა.

ჰიდროტესვა წარმოადგენს მცენარეული საფარის აღდგენის მეთოდს და გულისხმობს ბალახის თესლის, წყლის, სასუქისა და მულჩის ნარევის შესხურებას ნიადაგის ზედაპირზე. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს მცენარეული საფარის სწრაფ ფორმირებას, ფერდობების გამაგრებას, ეროზიის რისკის შემცირებას, ნატანის ჩამორეცხვის შეზღუდვას და სამშენებლო სამუშაოებით ზემოქმედებულ უბნებზე ბუნებრივი საფარის აღდგენას.

ჰიდროტესვის განხორციელება მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა სამშენებლო სამუშაოების ზემოქმედებული არეალში მოქცეული ტერიტორიების ეტაპობრივი რეაბილიტაციის მიმართულებით. აღნიშნული მიდგომა ასახავს კომპანიის პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას, რომლის მიხედვითაც ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად თანაბრად მნიშვნელოვანია ადგილობრივი ეკოსისტემების გრძელვადიანი მდგრადობის მხარდაჭერა.

ფოტო #5: ჰიდროტესვა ბახვი 2 ჰესის არეალში



ფოტო #6: ნეკერჩხლის გახარებული ნერგები



ფოტო #7: მილსადენის ტერიტორიაზე გაზრდილი ბალახი



ფოტო #8: დამონტაჟებული ფოტოხაფანგი



**ბ. მდინარე ბახვისწყლის ბიომრავალფეროვნება**

ბახვი 2 ჰესისთვის მდინარე ბახვისწყლის ბიომრავალფეროვნების დაცვა და წყლის ეკოსისტემის პირვანდელი სახით შენარჩუნება ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. რეგულარული მონიტორინგისა და შემარბილებელი ღონისძიებების საშუალებით, უზრუნველყოფთ

შევიწარმინოთ მდინარის ეკოლოგიური სიჯანსაღე და დავიცვათ მასში მობინადრე სახეობები. აღნიშნული კვლევები არსებით მნიშვნელობას ატარებს პროექტის შესაძლო ზემოქმედების უკეთ გასააზრებლად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ თითოეული განხორციელებული საქმიანობა შეესაბამებოდეს როგორც გარემოსდაცვით კარგ პრაქტიკას, ისე მარეგულირებლის მოთხოვნებს.

ჩვენ ვატარებთ მდინარე ბახვისწყლის ბიომრავალფეროვნების სეზონურ მონიტორინგს, წელიწადში სამჯერ, დამოუკიდებელი, მესამე მხარის სპეციალისტის ხელმძღვანელობით. აღნიშნულ პროცესში ფასდება სახეობების მრავალფეროვნება, მათი პოპულაცია და ჰაბიტატში განხორციელებული შესაძლო ცვლილება. დამოუკიდებელი მონიტორინგი საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობა და მთლიანობაში გავააზროთ ადგილობრივი ეკოსისტემის მდგრადობა. აღნიშნული მიდგომის საფუძველზე კომპანიას აქვს დროული რეაგირების შესაძლებლობა, თუ საჭირო ხდება დამატებითი გარემოსდაცვითი ზომების გატარება. ერთიანი, თანმიმდევრული მიდგომა მდინარე ბახვისწყლის ბიომრავალფეროვნებაზე დადებით გავლენას უზრუნველყოფს.

მდინარე ბახვისწყლის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შედეგად კვლავ დაფიქსირდა მხოლოდ ერთი - ნაკადულის კალმახი. იქთიოლოგმა კვლევის დროს 8 ინდივიდის მოპოვება შეძლო, რომელთა ჯამური ბიომასა 187 გრამს შეადგენდა. მაკროუხერხემლოთა მრავალფეროვნება წარმოდგენილი იყო 9 რიგითა და 33 ოჯახით, რაც წყლის ბიოლოგიური გარემოს კარგ მდგომარეობაზე მიუთითებს.

2025 წლის ივნისში, სექტემბერსა და ოქტომბერში ჩატარებულმა ჰიდრობიოლოგიურმა და იქთიოლოგიურმა მონიტორინგმა დაადასტურა, რომ მშენებლობის ფაზაში ბახვი 2 ჰესის არეალში მდინარე ბახვისწყლის ეკოლოგიური მდგომარეობა სტაბილურად შენარჩუნდა. წყლის ხარისხის მაჩვენებლები სრულად შეესაბამებოდა ნაკადულის კალმახისთვის საჭირო საარსებო პირობებს.

კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მდინარე ბახვისწყალში ნაკადულის კალმახი მცირე პოპულაციითაა წარმოდგენილი. ბოლო წლების განმავლობაში არაერთი მონიტორინგი ჩატარდა, რაც ცხადყოფს, რომ ეს მდგომარეობა განპირობებულია ბუნებრივი პირობებით და არა სამშენებლო საქმიანობით. მაკროუხერხემლოთა რაოდენობრივი სეზონური ცვლილებები ბუნებრივ ჰიდროლოგიურ დინამიკას უკავშირდება. მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ მშენებლობის ფაზაში წყლის ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება არ გამოვლენილა.

ბახვი 2 ჰესის მიერ არჩეულ სტრატეგიულ მიდგომას ადასტურებს ისიც, რომ მდინარე ბახვისწყლის ბიომრავალფეროვნების სიღრმისეული კვლევა ტარდება ზედაპირული წყლების ხარისხის მკაცრ მონიტორინგთან ერთად. მონიტორინგს ამ შემთხვევაშიც დამოუკიდებელი, მესამე მხარის სპეციალისტები კვარტალურად ახორციელებენ, რაც უზრუნველყოფს მონაცემების ობიექტურობას, სამეცნიერო სიზუსტესა და გამჭვირვალობას.

ფოტო #9: მდ.ბახვისწყლის ბიომრავალფეროვნების კვლევის პროცესი



ფოტო #10: მდ.ბახვისწყლის ბიომრავალფეროვნების კვლევის



ფოტო #11: კვლევის დროს მოპოვებული ნაკადულის კალმახი



ფოტო #12: ზედაპირული წყლების ხარისხის მონიტორინგი



**ც. ჰაერის ხარისხი, მტვერი და ვიბრაცია**

ბახვი 2 ჰესისთვის გარემოს დაცვა არ შემოიფარგლება მხოლოდ რეგულაციების აღსრულებით, ეს არის მირითადი ღირებულება, რომლითაც პროექტის ყველა ეტაპის საქმიანობა წარიმართება. მშენებლობის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების გააზრებით, კომპანია დიდ ყურადღებას აქცევს ჰაერის ხარისხს, ვიბრაციისა და ხმაურის დონის მონიტორინგს. აღნიშნულის მიზანი მაღალი ეკოლოგიური სტანდარტების შენარჩუნება და ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებაა.

ზემოთ ნახსენები კომპონენტების მონიტორინგის შედეგები ადასტურებს, რომ ატმოსფეროში მტვრის ნაწილაკების კონცენტრაცია მარეგულირებლის მიერ დადგენილ ნორმებზე დაბალია, ეს კი ეფექტური სამშენებლო მენეჯმენტისა და ჰაერის ხარისხის დაცვის პროაქტიული მიდგომების შედეგია. პროგნოზის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების შედეგად მნიშვნელოვანი გამონაბოლქვის წარმოშობა და გავრცელება მოსალოდნელი არ არის, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სუფთა და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებისადმი ჩვენს ერთგულებას.

2025 წელს ჩატარებული მონიტორინგის შედეგები ადასტურებს, რომ ხმაურის დონე მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება მარეგულირებლის მიერ დადგენილ მაქსიმალურ ზღვარს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს ერთგულებას უსაფრთხო და ღირსეული სამუშაო გარემოს შექმნისადმი.

რაც შეეხება ვიბრაციის მაჩვენებლებს, რეგულაციებით მკაფიოდ არის განსაზღვრული დასაშვები ზღვარი, რომლის დაცვაც კომპანიის მუდმივი პრიორიტეტია. სამშენებლო მოედნისა და საცხოვრებელი ბანაკის ტერიტორიაზე ჩატარებულმა შეფასებებმა ცხადყო დადგენილ მოთხოვნებთან სრული შესაბამისობა. დაფიქსირებული მონაცემები ნათლად ასახავს ჩვენ მუდმივ ძალისხმევას, შევამციროთ ფიზიკური ზემოქმედება როგორც ადამიანებზე, ასევე გარემოზე. აღნიშნული კი ჩვენს პასუხისმგებლიან და მდგრად საქმიანობას წარმოაჩენს.



ფოტო #13: ჰაერის ხარისხის მონიტორინგი საცხოვრებელ ბანაკში



ფოტო #14: ხმაურისა და ვიბრაციის დონის მონიტორინგი

#### **d. გეოლოგიის მონიტორინგი**

ბახვი 2 ჰესის მშენებლობის ეტაპზე გეოლოგიური მონიტორინგი პროექტის უსაფრთხოებისა და სტრუქტურული მდგრადობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა. იმის გათვალისწინებით, რომ ჰიდროენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა რთულ გეოლოგიურ პირობებში მიმდინარეობს, აუცილებელი იყო სამშენებლო მოედნის გეოლოგიური თავისებურებების მუდმივი კონტროლი. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 2025 წელს ჩატარებული კვლევები, რომელიც ხელს უწყობს პროექტის გრძელვადიან სანდოობასა და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვას.

2025 წელს ბახვი 2 ჰესის სამშენებლო არეალში გეოლოგიური მონიტორინგი დამოუკიდებელი, მესამე მხარის სპეციალისტის მიერ ერთხელ ჩატარდა. კვლევის მიზანი სამშენებლო არეალში გეოლოგიური პირობების სიღრმისეული ანალიზი და პროექტის უსაფრთხოების, სტრუქტურული სიძლიერისა და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობების პრინციპების უზრუნველყოფა იყო.

შეფასების შედეგად არ გამოვლენილა რაიმე სახის გეოლოგიური საფრთხე. სპეციალისტის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პროცესში სრულად გათვალისწინებულია. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროექტის შესაბამისობას როგორც საერთაშორისო კარგი პრაქტიკისადმი, ისე დადგენილ გეოტექნიკურ სტანდარტებთან, რაც დამატებით ამყარებს პროექტის სანდოობასა და მდგრადობას.

#### **e. ემისიები**

ბახვი 2 ჰესი, როგორც ჰიდროელექტროსადგური, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს განახლებადი ენერჯის სისტემაში. ბახვი 2 ჰესი მდინარის მოდინებაზე მომუშავე ჰესია, რომელიც ექსპლუატაციაში გასვლის შემდეგ, ელექტროენერჯიას, დიდი რეზერვუარებისა ან წიაღისეული საწვავის გამოყენების გარეშე, მდინარის ბუნებრივი ჩამონადენის გამოყენებით გამოიმუშავენს. აღნიშნული მიდგომა არ იწვევს სათბურის აირების პირდაპირ ემისიას, რაც მას აქცევს განახლებადი და ეკოლოგიურად მდგრად ენერჯის წყაროდ. მოცემული მოდელი, ხელს უწყობს ენერჯის მდგრად გენერაციას ადგილობრივ ეკოსისტემებზე მინიმალური ზემოქმედებით და შეესაბამება საქართველოს მიერ აღებულ კლიმატურ და ენერგეტიკულ ვალდებულებებს, რითაც ხდება

ეროვნული ნახშირბადის ნაკვალევის შემცირების მხარდაჭერა ენერგეტიკის სექტორში.

როგორც აღინიშნა, ბახვი 2 ჰესი ექსპლუატაციაში შესვლისთანავე საკუთარ განახლებად ენერჯიას გამოიმუშავებს; თუმცა, სრული გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ არაპირდაპირი (Scope 2) ემისიების აღრიცხვას. აღნიშნული ემისიები აღირიცხება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მინიმალურ ელექტროენერჯიის მოხმარებას გარე წყაროებიდან, რაც შეიძლება საჭირო გახდეს საგანგებო ან ტექნიკური მოვლა-პატრონობისთვის განკუთვნილი დროებითი გაჩერების პერიოდში.

ბახვი 2 ჰესი იყენებს შემდეგ მაჩვენებლებს ემისიების მონიტორინგისა და გასაჯაროებისათვის:

- ემისიების შემცირების მიზანი: გათვალისწინებულია ყველა პირდაპირი (Scope 1), არაპირდაპირი (Scope 2) და სხვა არაპირდაპირი (Scope 3) ემისიის საერთო შემცირება. პირდაპირი (Scope 1), არაპირდაპირი (Scope 2) და სხვა არაპირდაპირი (Scope 3) ემისიების მონიტორინგი ხორციელდება კვარტალურად;
- ემისიების გაზომვა წარმოებული ენერჯიის ერთეულზე: ემისიების (მაგ., CO<sub>2</sub>e/MWh) წარმოებული ენერჯიის ერთეულზე გაანგარიშება საშუალებას აძლევს კომპანიას გააუმჯობესოს მომავალი ოპერირების ეფექტიანობა და შეამციროს ემისიები ენერჯიის გამომუშავებასთან პროპორციულად, რაც ხელს უწყობს გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევას.
- განახლებადი ენერჯიის წყაროების გაზრდა: ოპერირებაში განახლებადი ენერჯიის წყაროების წილის ზრდა წარმოადგენს პრიორიტეტს, რომელიც რეგულარულად, კვარტალური მონიტორინგის გზით, კონტროლდება. აღნიშნული მიზნად ისახავს ემისიების შემცირებას და საქართველოს განახლებადი ენერჯიის მიზნებთან სრულ შესაბამისობას, რაც ხელს უწყობს მდგრად განვითარებას.
- ემისიების მონაცემების გასაჯაროება: კომპანია 2024 წლიდან ასაჯაროებს პირდაპირ (Scope 1), არაპირდაპირ (Scope 2) და სხვა არაპირდაპირი (Scope 3) ემისიების მონაცემები, რაც ასახავს კომპანიის მზადყოფნას უზრუნველყოს ფართომასშტაბიანი ემისიების აღრიცხვა და გამჭვირვალობა.

მონაცემები ემისიების შესახებ:

მონაცემის ტიპი	Q1	Q2	Q3	Q4	ფაქტობრივი '25
Scope 1 (tCo2eq/yr)	400	550	662	526	2138
Scope 2 (tCo2eq/yr)	23,38	11	8	13	55
Scope 3 (tCo2eq/yr)	219	51	24	20	314
არიდებული ემისიები (tCo2eq/yr)	-	-	-	-	-

**სათბური აირების ემისიების პროგნოზი**

ბახვი 2 ჰესის მშენებლობის დასრულების პარალელურად, კომპანია ურყევად უჭერს მხარს საქართველოს ეროვნულ კლიმატურ მიზნებს ემისიების პროაქტიული შემცირების სტრატეგიის საშუალებით. ბახვი 2 ჰესის ექსპლუატაციაში შესვლისთანავე პირველ სრულ სამუშაო წელს საბაზისო წლად განსაზღვრავს. ამის შემდეგ კი განახლდება სათბურის აირების ემისიების პროგნოზი და დადგინდება შესაბამისი მიზანი. აღნიშნული მიზანი საბაზისო წელთან შედარებით 2030 წლისთვის ემისიების 30%-ით შემცირებას გულისხმობს.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ბახვი 2 ჰესი გამოიყენებს ისეთ ტექნოლოგიებს, რომელიც ორიენტირებული იქნება ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებასა და საერთაშორისო მდგრადობის პრაქტიკასთან შესაბამისობაზე. როგორც „გაეროს გლობალური შეთანხმების“ მონაწილე, კომპანია იცავს პასუხისმგებლიანი ბიზნესის პრინციპებს და საქმიანობისას გარემოსდაცვით მაღალ პასუხისმგებლობას ნერგავს. ეს მიდგომა კი ასახავს ბახვი 2 ჰესის გრძელვადიან ხედვას დაბალ



ნახშირბადიანი განვითარებისა და მდგრადი ენერჯის წარმოების გზაზე.

**აღსრულება და მონიტორინგი**

- ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას დავთვალოთ ემისიები კვარტალურად, რათა უზრუნველყოთ მიზნებისადმი შესაბამისობა და გამჭვირვალე ანგარიშგება.
- ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას, ვაწარმოოთ შიდა და გარე აუდიტები, რათა დავადასტუროთ მონაცემების სიზუსტე და უზრუნველყოთ ემისიების მიზნებთან შესაბამისობა.
- ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას, ყოველწლიურად გავასაჯაროოთ კომპანიის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ანგარიში, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ემისიების მაჩვენებლები და მიღწევები.

2023 წელს, ბახვი 2 ჰესის მშენებლობის დაწყების შემდეგ სისტემატურად აღირიცხება და ანგარიშდება პირდაპირი (Scope 1) და არაპირდაპირი (Scope 2) ემისიები. 2024 წლიდან კი დანერგილია სხვა არაპირდაპირი (Scope 3) ემისიების მონიტორინგიც, რათა მშენებლობის ეტაპზე სრულად დაიფაროს ყველა შესაბამისი ემისიის წყარო.

კომპანიის მდგრადობის ინიციატივებისა და ემისიების შემცირების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების შესახებ, გთხოვთ გაეცნოთ ბახვი 2 ჰესის მდგრადობისა და ემისიების შემცირების გეგმას, რომელიც ხელმისაწვდომია კომპანიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე <https://bakhvihpp.com>

**კლიმატთან დაკავშირებულ რისკებთან შესაბამისობა**

ბახვი 2 ჰესის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ძალისხმევა სრულად შეესაბამება საქართველოს კლიმატის სტრატეგიასა და კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური გასაჯაროების ჩარჩოს. ქვემოთ ჩამოთვლილი ინიციატივები წარმოადგენს კომპანიის სტრატეგიული მიდგომის მნიშვნელოვან ელემენტებს:

- **ნახშირბადის ემისიები:** მშენებლობის ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პირდაპირი (Scope 1), არაპირდაპირი (Scope 2) და სხვა არაპირდაპირი (Scope 3) კატეგორიის ემისიების შემცირებას საწვავის მოხმარების ოპტიმიზაციის, ლოგისტიკის გაუმჯობესებისა და დაბალი ნახშირბადის შემცველობის მქონე სამშენებლო მასალების გამოყენების გზით. ოპერირების ეტაპზე, პროექტი მიზნად ისახავს საბაზისო პერიოდთან შედარებით პირდაპირი (Scope 1), არაპირდაპირი (Scope 2) და სხვა არაპირდაპირი (Scope 3) ემისიების 30%-ით შემცირებას 2030 წლამდე.
- **ენერგოეფექტურობა:** შიდა მოხმარების ელექტროენერჯის გამოყენების შემცირება
- **წყლის რესურსების დაცვა:** გარემოსდაცვითი ნებართვებისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნება მდინარე ბახვისწყლის ბუნებრივი ჩამონადენის მონიტორინგი. ჰიგიენური მიზნებისა და სასმელი წყლის მოხმარება უნდა შეესაბამებოდეს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტებს და თანხვედრაში იქნება წყლის დაზოგვის ხელშემწყობ ინიციატივებთან. თანამშრომლები გაივლიან სპეციალურ ტრენინგებს წყლის მიზნობრივი და დაზოგვითი გამოყენების შესახებ, რაც მოიცავს ისეთ პრაქტიკებს, როგორცაა ონკანების დაკეტვა მათი არა-აქტიური გამოყენების დროს.

სხვა არაპირდაპირი (Scope 3) ემისიების აღრიცხვით, კომპანია ავითარებს შესაძლებლობას, რომ მთელ ღირებულებათა ჯაჭვში დროულად გამოავლინოს და გამოიყენოს დამატებითი შესაძლებლობები ემისიების შემცირების თვალსაზრისით. აღნიშნული მიდგომა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ბახვი 2 ჰესის ერთგულებას გარემოსდაცვითი სტანდარტებისადმი, ინფრასტრუქტურული მდგრადობის განმტკიცებისა და ინოვაციური გადაწყვეტილებების დანერგვის მიმართ. აღნიშნული სრულად შეესაბამება როგორც ეროვნულ, ისე გლობალური კლიმატის მიზნებს და კომპანიის სტრატეგიაში მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრაციას უზრუნველყოფს.

ამასთან, კლიმატურ რისკებთან დაკავშირებული ფინანსური გასაჯაროების ჩარჩოს რეკომენდაციების შესაბამისად, ბახვი 2 ჰესის კლიმატთან დაკავშირებული რისკების მართვა პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე აქვს ინტეგრირებული. დაგეგმვის ეტაპზევე ჩატარდა კლიმატის რისკების ანალიზი, რომლის ფარგლებშიც გამოიკვეთა პროექტზე პოტენციურად ზემოქმედების მქონე ძირითადი ფიზიკური და გარდამავალი კლიმატური რისკები, როგორც საშუალო, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში.

- **ფიზიკური რისკი:** მოიცავს ამინდის ექსტრემალური პირობების სიხშირისა და ინტენსივობის ზრდას, რაც შესაძლოა ზემოქმედებას ახდენდეს მდინარის მახასიათებლებზე. აღნიშნული კი ენერჯის გამომუშავებისთვის კრიტიკული ფაქტორია. ასევე, აღსანიშნავია მეწყერის რისკი, რომელიც პოტენციურად საფრთხეს უქმნის ინფრასტრუქტურის სტაბილურობას. ფიზიკურ რისკებში შედის ბიომრავალფეროვნების ცვლილებაც, რაც დაკავშირებულია ტემპერატურის ზრდასთან და სეზონური ციკლის დარღვევასთან
- **გარდამავალი რისკი:** უკავშირდება გარემოსდაცვით პოლიტიკასა და რეგულაციებში გარდამავალ ცვლილებებს, როგორცაა: ემისიების ანგარიშგების გამდიდრებული მოთხოვნები, ნახშირბადზე ფასის შემოღება და ახალი სტანდარტების დაწესება გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, როგორც ფინანსური ინსტიტუტების, ისე სახელმწიფო უწყებების მხრიდან.

#### **f. ნარჩენების მართვა**

ბახვი 2 ჰესი მტკიცედ იცავს ნარჩენების მდგრადი მართვის პრინციპებს და მიზნად ისახავს ნარჩენების გენერაციის შემცირებას სისტემური და გააზრებული მიდგომებით. აღნიშნული მიზნის მხარდასაჭერად, კომპანიამ 2025 წელს განაახლა და წარმატებით ახორციელებს ნარჩენების მართვის ყოვლისმომცველ გეგმას, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ (შეთანხმების N 21/11993). გეგმა დეტალურად განსაზღვრავს ნარჩენების შეგროვების, დახარისხების, ტრანსპორტირების, დამუშავებისა და უტილიზაციის პროცესებს და უზრუნველყოფს პროექტის შესაბამისობას როგორც ეროვნულ გარემოსდაცვით მოთხოვნებთან, ისე კარგ საერთაშორისო პრაქტიკასთან. აღნიშნული გეგმა წარმოადგენს კომპანიის პასუხისმგებლიანი გარემოსდაცვითი პოლიტიკის მნიშვნელოვან კომპონენტს და ასახავს მის ერთგულებას მდგრადი განვითარების პრინციპების მიმართ.

ანგარიშგების პერიოდში, სამშენებლო სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები, მათ შორის ინერტული და შესაფუთი მასალები, სახიფათო ნარჩენები და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, იმართებოდა დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. მათი რაოდენობა სისტემატურად აღირიცხებოდა, ხოლო გატანა ხორციელდებოდა ლიცენზირებული ნარჩენების მართვის კომპანიების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფდა ეროვნულ მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

#### **ნარჩენების მართვის ინტეგრირებული პრაქტიკა**

როგორც საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის ასოციაციის წევრი, შპს „ბახვი 2“ აქტიურად მონაწილეობს ეროვნული დონის ინიციატივაში, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული მასალების მართვასა და გადამუშავებას. აღნიშნული პარტნიორობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზედამხედველობით კომპანიის ნარჩენების გადამუშავების პროცესში ჩართვას უზრუნველყოფს.

საქართველოს გარემოსდაცვითი რეგულაციების შესაბამისად, კომპანია წინასწარ იხდის გადამუშავების მოსაკრებლებს, რაც უზრუნველყოფს ორგანული კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობების შესრულებას და ნარჩენების მდგრად მართვას. ამგვარი მიდგომა კომპანიას შესაძლებლობას აძლევს მაქსიმალურად შეამციროს ნარჩენების გადაყრა ნაგავსაყრელებზე,



შეუწყოს ხელი ცირკულარული ეკონომიკის განვითარებას და კიდევ ერთხელ დაადასტუროს საკუთარი ერთგულება გარემოსდაცვითი მდგრადობის პრინციპების მიმართ.

მაჩვენებელი 2025 წელი	ფაქტობრივი 2025 წელი
საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემცირების მაჩვენებელი	36 000 კგ/წ
მწარმოებლის გაფართოებულ პასუხისმგებლობის ასოციაციის მიერ მართული ნარჩენების გადამუშავების მაჩვენებელი	100%
საშიში ნარჩენების მართვის შესაბამისობა	დიახ

**სახიფათო ნარჩენების მართვა**

სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო მართვა და განთავსება ბაზვი 2 ჰესისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. კომპანია მკაცრად იცავს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და სახიფათო ნარჩენების აღრიცხვის, დახარისხებისა და შენახვის თვალსაზრისით ახორციელებს სისტემურ მიდგომას. აღნიშნული უზრუნველყოფს გარემოს დაცვის რეგულაციებთან შესაბამისობას.

ნარჩენების მართვა კომპანიისთვის საერთო პასუხისმგებლობას წარმოადგენს, რასაც თითოეული თანამშრომელი იაზრებს მათი სამუშაო პოზიციის მიუხედავად. გუნდის თითოეული წევრი აქტიურად მონაწილეობს ნარჩენების უსაფრთხო და ეკოლოგიურად პასუხისმგებლიან მართვაში. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის გუნდის ხელმძღვანელობით, თანამშრომლები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს სახიფათო და არა სახიფათო ნარჩენების სწორად განცალკევებაში. გამოიყენება სპეციალური მარკირების დახურული ტიპის კონტეინერები და მაქსიმალურად არის დაცული უსაფრთხოების პროცედურები.

ბაზვი 2 ჰესის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების გუნდი უზრუნველყოფს, რომ ყველა ნარჩენის კონტეინერი მკაფიოდ იყოს იდენტიფიცირებული შესაბამისი ნიშნებით, რაც ამარტივებს სახიფათო ნარჩენების მართვას და ზრდის უსაფრთხოების სტანდარტებს. ეს პრაქტიკა კრიტიკულია, როგორც ოპერაციული ეფექტიანობისთვის, ისე ეროვნული და საერთაშორისო ნორმების აღსრულებისთვის.

ბაზვი 2 ჰესისთვის სახიფათო ნარჩენების მართვა სიფრთხილეს და სიზუსტეს მოითხოვს. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სამშენებლო მოედნის ტერიტორიაზე, მოწყობილია სპეციალური დროებითი საცავი, რომელიც მთლიანად არის დაფარული, შემოღობილი და დაცული გარე ფაქტორებისგან, რაც უზრუნველყოფს გარემოს დაბინძურების და ადამიანური დაუდევრობის შედეგად გამოწვეული რისკების შემცირებას. კომპანიამ ასევე გააფორმა კონტრაქტი ლიცენზირებულ და სერტიფიცირებულ კომპანიასთან შპს „სანიტარი“, რომელიც პასუხისმგებელია სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო გატანასა და გადამუშავებაზე. შპს „სანიტარი“ შპს „ბაზვი 2“-თან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, უზრუნველყოფს ყველა აღრიცხული სახიფათო ნარჩენის მართვას. რაც შეეხება ნავთობპროდუქტებს, ისინი გადის სპეციალურ გადამუშავების პროცედურებს, რითაც უზრუნველყოფილია მაქსიმალურად უსაფრთხო და მდგრადი გამოყენება.

2025 წელს ბაზვი 2 ჰესზე სახიფათო ნარჩენების შემცირების წლიურმა მაჩვენებელმა 430 კგ შეადგინა, ხოლო სახიფათო ნარჩენების მართვის პროცესი სრულად შეესაბამებოდა მოქმედ რეგულაციებს.

### **საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებების ასოციაცია**

შპს “ბახვი 2” წარმოადგენს საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებების ასოციაციის - "Wasteless<sup>2</sup>"-ის აქტიურ წევრს. ამ წევრობის ფარგლებში, ჩვენ ვმონაწილეობთ სპეციფიკური ნარჩენების მართვის პროცესში. სპეციფიკური ნარჩენები მოიცავს შემდეგ კატეგორიებს: საბურავები, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები, ბატარეები, აკუმულატორები და ზეთები.

აღნიშნული ორგანიზაციის წევრობის საფუძველზე, შპს “ბახვი 2” სპეციფიკური ნარჩენების მართვის მიმართულებით ჩართულია, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობებისა და ზეთების მოდულებში. კანონმდებლობის შესაბამისად, შპს “ბახვი 2” წინასწარ იხდის გადასახადებს აღნიშნული ნარჩენების მართვისათვის, რომლებიც კონტროლდება საბაჟო სამსახურების მიერ და ინტეგრირებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემებთან. ეს გადახდები უზრუნველყოფს, რომ ჩამოთვლილი ნივთების ვარგისიანობის ციკლის დასრულებისა და ნარჩენებად კლასიფიკაციის შემდეგ, ასოციაცია უზრუნველყოფს მათ სათანადო გადამუშავებას და უსაფრთხოდ მართვას.

ასეთი ძალისხმევა მიზნად ისახავს ნარჩენების გადამუშავების პროცესში ინტეგრირებას და ნაგავსაყრელებზე განთავსებული ნარჩენების შემცირებას, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ.

### **გ. წყლის რესურსების მდგრადი მართვა**

მშენებლობის ეტაპზე მყოფი ბახვი 2 ჰესი სრულად მოწადინებულია პასუხისმგებლიანი წყლის რესურსების მართვისკენ. ჩვენი მიდგომა პროექტის დასაწყისიდანვე დაფუძნებულია მდგრადი მოხმარების პრინციპებზე და უმაღლეს პრიორიტეტს ანიჭებს წყლის რესურსების დაცვას. გარემოსდაცვითი ნებართვით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მშენებლობის ეტაპზე წყალი ძირითადად გამოიყენება საყოფაცხოვრებო საჭიროებებისთვის. ასევე ტექნიკური მიზნებისთვის, როგორცაა ხანძარსაწინააღმდეგო პრევენცია, გზების მორწყვა.

ჩვენ მუდმივად ვაკონტროლებთ წყლის საერთო მოხმარებას, თვალყურს ვადევნებთ მის ეფექტიანობას და უზრუნველყოფთ, რომ გარემოში დაბრუნებული წყალი აკმაყოფილებდეს ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს. აღნიშნული მიზნებით 2025 წელს მოხმარებული წყლის საშუალო რაოდენობამ 3,600 მ<sup>3</sup> შეადგინა.

გარემოსდაცვითი ნებართვის მოთხოვნების შესაბამისად, ბახვი 2 ჰესზე დამონტაჟებულია ავტომატური ხარჯმზომი სადგური, რომელიც უწყვეტ რეჟიმში აკვირდება მდინარე ბახვისწყლის ბუნებრივ ჩამონადენს. აღრიცხული მონაცემები კვარტალში ერთხელ იგზავნება გარემოს ეროვნულ სააგენტოში. 2025 წელს დაფიქსირებული მდინარე ბახვისწყლის ბუნებრივი ჩამონადენის მაჩვენებელმა 2.43მ<sup>3</sup>/წმ შეადგინა.

### **შესაბამისობა ეროვნულ კანონებსა და რეგულაციებთან**

როგორც პასუხისმგებლიანი კომპანია, ჩვენ მკაცრად ვიცავთ საქართველოს კანონებსა და რეგულაციებს. ჩვენ გულდასმით ვაკონტროლებთ და ვახორციელებთ ყველა დაკისრებულ ვალდებულებასა და შემარბილებელ ღონისძიებებს, რომლებიც განსაზღვრულია გარემოზე ზემოქმედების შეფასებასა და გარემოსდაცვითი ნებართვის პირობით.

ეს პრაქტიკა ასახავს ჩვენს ერთგულებას როგორც სამართლებრივი მოთხოვნების დაცვის, ასევე გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის მიმართ.

<sup>2</sup> <https://wasteless.ge/>



ქვემოთ მოცემული ცხრილში, წარმოდგენილია სავალდებულო მონიტორინგის ასპექტები:

მონიტორინგის ასპექტი	სიხშირე	პროგრესი
ჰაერის ხარისხი, ხმაური, ვიბრაცია, ზედაპირული წყლების ხარისხი	კვარტალში ერთხელ	მონიტორინგი ჩატარდა მესამე მხარის, დამოუკიდებელი სპეციალისტების მიერ
საშიში გეოლოგიური პროცესები	წელიწადში ერთხელ	მონიტორინგი ჩატარდა მესამე მხარის, დამოუკიდებელი სპეციალისტის მიერ
ნიადაგის/გრუნტის ხარისხი	დაღვრის შემთხვევაში	2025 წელს დაღვრა არ დაფიქსირებულა
მდინარე ბახვისწყლის ბუნებრივი ჩამონადენი	ყოველდღიურად	მონაცემები გროვდება ავტომატიზებული დონმზომი სადგურების მეშვეობით
ბიომრავალფეროვნება (ცხოველები, ფრინველები, ამფიბიები, რეპტილიები, ხელფრთიანები)	წელიწადში ორჯერ	შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელი მესამე მხარის სპეციალისტის მიერ
მდინარე ბახვისწყლის ბიომრავალფეროვნება	წელიწადში სამჯერ	მონიტორინგი ჩატარდა მესამე მხარის, დამოუკიდებელი სპეციალისტის მიერ
ნარჩენების მართვა	ყოველთვიურად	შესრულდა სერტიფიცირებული კონტრაქტორების მიერ
შრომითი უსაფრთხოება	ყოველდღიურად	შესრულდა შრომითი უსაფრთხოების გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი და ტექნიკური გუნდების მიერ
ადამიანის უფლებები	ყოველთვიურად	დამტკიცებულია ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლის პროცესი და რისკების შეფასება

2025 წლის განმავლობაში გარემოსდაცვითი მონიტორინგი და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლი უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა, თუმცა წელი ასევე მოიცავდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის მიერ ჩატარებულ ინსპექტირებასთან დაკავშირებულ რამდენიმე მარეგულირებელ შედეგს.

2025 წლის 6 მაისს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ინსპექტირების შედეგად კომპანიას დაეკისრა 7,000 ლარის ოდენობის ჯარიმა. საკითხი ეხებოდა ბახვი 2 ჰესის რამდენიმე ინფრასტრუქტურულ მცირე დამხმარე ობიექტს, მათ შორის ბეტონის კვანძსა და სამსხვრევ-დამხარისხებელ საწარმოს, რომელთა მოწყობა და ექსპლუატაცია სკრინინგის პროცედურას ექვემდებარებოდა.

ინსპექტირების ფარგლებში დადგინდა, რომ აღნიშნული ობიექტების საქმიანობა შესაბამისი სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებამდე დაიწყო, ხოლო სკრინინგის ანგარიში გარემოს ეროვნულ სააგენტოში მხოლოდ მას შემდეგ იქნა წარდგენილი, რაც სამუშაოები უკვე განხორციელებული იყო.

საპასუხო რეაგირების ფარგლებში კომპანიამ გადახედა შიდა შესაბამისობის პროცედურებს, გააძლიერა კოორდინაცია ტექნიკურ და გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით გუნდებს შორის და გაამკაცრა ნებართვებთან დაკავშირებული ვალდებულებების შიდა კონტროლი, რათა მომავალში მსგავსი რისკების განმეორება თავიდან იყოს აცილებული.

**შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა**

**შრომის უსაფრთხოების სტრუქტურა და არსებული ტრენინგები**

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ეტაპზე, რომელიც ინტენსიური სამშენებლო სამუშაოებითა და მძიმე ტექნიკის გამოყენებით ხასიათდება, შპს ბახვი 2 ჰესისთვის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

სამუშაო გარემოს ბუნებიდან გამომდინარე, არსებობს მომატებული რისკები, რის გამოც 2025 წლის სამშენებლო სამუშაოების პარალელურად კომპანიამ კიდევ უფრო გააძლიერა თავისი ერთგულება თანამშრომლებისა და ყველა ვიზიტორის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვისადმი.

წლის განმავლობაში განხორციელდა რიგი სისტემური ღონისძიება, რომლებიც მიმართული იყო მშენებლობის პროცესისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკების მართვაზე. უსაფრთხოების ზომები ეფუძნებოდა პრევენციის, სიფრთხილისა და მუდმივი გაუმჯობესების პრინციპებს. აღნიშნული მიდგომა სრულად შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა (IFC) შესრულების სტანდარტებსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) რეკომენდაციებს. კომპანიის მიზანია, შექმნას ისეთი სამუშაო გარემო, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს თითოეული ადამიანის უსაფრთხოებას და ხელს უწყობს ჯანმრთელობის დაცვას საქმიანობის ყველა ეტაპზე.

ანგარიშგების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამუშაო პროცესების უწყვეტ მონიტორინგსა და არაგეგმური ინსპექციების ჩატარებას. ინსპექტირებისას გამოყენებულ იქნა სტანდარტიზებული საკონტროლო ფორმები, რაც კომპანიას საშუალებას აძლევდა დეტალურად შეეფასებინა სამშენებლო მოედანზე შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვა. შემოწმების შედეგები სათანადოდ აღირიცხებოდა და საჭიროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ტარდებოდა შესაბამისი შემარბილებელი და პროფილაქტიკური ღონისძიებები ღონისძიებები, რაც ხელს უწყობდა რისკებზე დროულ რეაგირებასა და მათი მინიმუმამდე შემცირების ეფექტურ მექანიზმებს.

ბახვი 2 ჰესის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის ფარგლებში, ინსპექტირებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა თანამშრომლებისთვის პირადი დაცვის საშუალებების (PPE) ხელმისაწვდომობასა და მათ სწორად გამოყენებას. ასევე დეტალურად მოწმდებოდა ტექნიკური საშუალებებისა და მძიმე ტექნიკის გამართული ოპერაციული მდგომარეობა, მათი შესაბამისობა ტექნიკური მომსახურების გრაფიკთან და უსაფრთხოების სერტიფიკატებთან. ყველა გამოვლენილ ხარვეზზე რეაგირება ხდებოდა დაუყოვნებლივ, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო და სტაბილური სამუშაო გარემოს შენარჩუნებას.

შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი 2025 წელს შრომის უსაფრთხოების მენეჯერისგან, ოთხი შრომის უსაფრთხოების ოფიცრისგან და ადგილზე მუდმივად მყოფი ერთი ექიმისგან შედგებოდა. უსაფრთხოების ოფიცრები სამუშაო პროცესებზე უწყვეტ მონიტორინგს ახორციელებდნენ და მუშაობდნენ რამდენიმე ეტაპად ორგანიზებული კონტროლის სისტემის ფარგლებში.

ბახვი 2 ჰესის შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემა შემუშავებული იყო ჰესის სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით. სისტემა სრულად შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებს და ამავედროულად ეფუძნებოდა საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პრაქტიკებსა და მიდგომებს.

2025 წელს, სამშენებლო სამუშაოების პიკური ინტენსივობის პერიოდში, უსაფრთხოების მონიტორინგის კიდევ უფრო გასაძლიერებლად ბახვი 2 ჰესის შრომის უსაფრთხოების მენეჯერმა დაწერა სექციური უსაფრთხოების მართვის მიდგომა. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში ჰესის ტერიტორია დაიყო ზონებად, რამაც სამუშაო პროცესების კონტროლი და უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების მონიტორინგი მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. თითოეულ ზონაზე მიმაგრებული იყო ერთი უსაფრთხოების ოფიცერი, რომელიც პასუხისმგებელი იყო მისთვის მინიჭებულ არეალში უსაფრთხოების წესების დაცვაზე.

ჰესის ტერიტორია დაყოფილი იყო სამ ძირითად ზონად: ბახვი 2-ის სამშენებლო ბანაკი და მისი მიმდებარე ტერიტორია, მათ შორის მიწების დასაწყობების მოედანი, ბახვი 2ა და ბახვი 2ბ

ჰიდროელექტროსადგურების არეალები და ბახვი 2ა-ს მილსადენის დერეფანი. აღნიშნული სისტემის ეფექტიანი დანერგვისა და უსაფრთხოების მონიტორინგის კიდევ უფრო გასაძლიერებლად დამატებით დასაქმდა ორი უსაფრთხოების ოფიცერი, რომლებიც აღნიშნული არეალების მონიტორინგს ახორციელებდნენ.

უსაფრთხოების ოფიცრების მიერ სამუშაო პროცესის კონტროლი მიმდინარეობდა მუდმივ რეჟიმში და იყოფოდა რამდენიმე ეტაპად. პირველ ეტაპზე, თითოეულ დასაქმებულ სამუშაო პროცესში ჩართვამდე, სამშენებლო ტერიტორიაზე გასვლამდე უტარდებოდა შრომის უსაფრთხოების ტრენინგები. ტრენინგები შედგენილია სამუშაოს ტიპის მიხედვით. თითოეულ სამუშაოს აქვს თავისი ინდივიდუალური ტრენინგი, რომელსაც მასზე მომუშავე პირები გადიან. ტრენინგების პაკეტი სულ მოიცავს 13 მიმართულებას:

- არმატურის დაწვანა, ბეტონის ჩასხმის უსაფრთხოება
- ამწე სამუშაოების უსაფრთხოება
- გეოდეზისტებისა და გასვლითი სავალი ჯგუფების უსაფრთხოება
- გეოდეზიური საბურღი სამუშაოების უსაფრთხოება
- ექსკავაციის უსაფრთხოება
- კემპის მშენებლობა-აწყობის უსაფრთხოება
- მილების საინჟინერო სამუშაოების უსაფრთხოება
- მილების შედუღება, თხრილში სამონტაჟო სამუშაოების უსაფრთხოება
- აფეთქებითი სამუშაოების უსაფრთხოება
- სიმალეზე მუშაობა, ხარაჩოს აწყობის უსაფრთხოება
- შედუღებისა და გაჭრის სამუშაოების უსაფრთხოება
- ხის ჭრის უსაფრთხოება
- მოძრაობის უსაფრთხოება

ანგარიშგების პერიოდში შრომის უსაფრთხოების მიმართულებით სხვადასხვა ტიპის ტრენინგი გაიარა როგორც პროექტზე მუდმივად და დროებით დასაქმებულმა პერსონალმა, ასევე კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად მოკლე ვადით მოწვეულმა პერსონალმა და პროექტის ვიზიტორებმა. ვიზიტორებში იგულისხმებიან ის პირები, ვინც საპროექტო ტერიტორიაზე არ იმყოფება კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად. ასეთები შეიძლება იყვნენ მაგალითად, ჟურნალისტები, დაინტერესებული მხარეები, მოწვეული სტუმრები. შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, პროექტის ტერიტორიაზე დაშვებამდე, ტრენინგი უტარდებოდა ყველა პირს, გამონაკლისის გარეშე, მათ შორის იმ შემთხვევებშიც, როდესაც პირი პროექტზე იმყოფებოდა მოკლე ვადით - რამდენიმე დღით, ერთი სამუშაო ცვლით, ან თუნდაც მხოლოდ რამდენიმე საათით კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად, ან შემოწმების მიზნით.

აღნიშნული მიდგომის შედეგად, თითოეული პირი, რომელმაც ერთხელ მაინც გაიარა შრომის უსაფრთხოების შესაბამისი ტრენინგი და შევიდა პროექტის ტერიტორიაზე, აისახა საერთო სააღრეცხვო მონაცემებში. შესაბამისად, შრომის უსაფრთხოების ტრენინგ გავლილ პირთა ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა 320 ადამიანი. აღნიშნული რიცხვი არ ასახავს პროექტზე ერთდროულად, ან მუდმივად დასაქმებულ პირთა რაოდენობას, არამედ მოიცავს ყველა იმ პირს, ვინც ანგარიშგების პერიოდში, სამუშაოს ხანგრძლივობის მიუხედავად, მონაწილეობდა პროექტის საქმიანობაში.

როგორც აღინიშნა, დატრენინგებულ პირთა საერთო რაოდენობა მოიცავს პროექტის მუდმივ თანამშრომლებს, დროებით დასაქმებულებს, კონკრეტული სამუშაოსთვის მოწვეულ სპეციალისტებს, აგრეთვე პროექტის ტერიტორიაზე მყოფ ვიზიტორებს. აღსანიშნავია, რომ ტრენინგ გავლილი პირების დიდმა ნაწილმა დატოვა პროექტი მას შემდეგ, რაც დასრულდა მათი კონკრეტული პოზიციური, ან დროებითი სამუშაო (მაგ: ხის მჭრელები, მძღოლები, მილსადენის შემმოწმებლები, გადამცემი ხაზის და ქვესადგურის მოწყობისთვის დაქირავებული ჯგუფები და სხვა

მუშახელი). შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების დეპარტამენტი აწარმოებს სპეციალურ საადრიცხო ჟურნალს, რომელშიც დასაქმებულთა (მუდმივი, დროებითი, სპეციალურად მოწვეული) და ვიზიტორებთა ხელმოწერით დეტალურად არის ასახული თითოეული ჩატარებული ტრენინგის შინაარსი, თარიღი და მონაწილე პირთა რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა გამჭვირვალობას და ამასთანავე განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

აღსანიშნავია, რომ პროექტზე დასაქმებულები არიან თურქი და თურქმენი ეროვნების პირები. შესაბამისად, ჩამოთვლილი ტრენინგები ადგილობრივი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად თარგმნილია, როგორც თურქულ, ასევე თურქმენულ ენებზე. განსხვავებული ეროვნების დასაქმებულებს ტრენინგები უტარდებათ თარჯიმნის დახმარებით, ასევე, ყველა სახის დოკუმენტაცია, რაც შრომის უსაფრთხოებას ეხება, თარგმნილია მათ მშობლიურ ენებზე.

საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად ინსტრუქტაჟები უტარდებათ დასაქმებულებს მათი საქმიანობის ტიპიდან გამომდინარე. ასევე იმ შემთხვევაშიც თუ მოხდა რომელიმე დასაქმებულის მიერ სამუშაო აქტივობის შეცვლა სხვა სამუშაოთი. დასაქმებულები მათ მშობლიურ ენაზე იღებენ შესაბამის ინფორმაციას აღნიშნულ სამუშაოსთან დაკავშირებული საფრთხეების და რისკების შესახებ. ასევე შესაბამისი იარაღების, ან ელექტრო მექანიკური დანადგარების სწორად გამოყენების შესახებ.

### **ინციდენტების ანგარიშგება**

შრომის უსაფრთხოების მონიტორინგის ფარგლებში, ბახვი 2 ჰესი მთელი წლის განმავლობაში აღრიცხავდა ყველა სამუშაო პროცესთან დაკავშირებულ ინციდენტს, საფრთხის შემცველ შემთხვევასა და დაზარალებას. კომპანია სრულად ემხრობა გამჭვირვალე კომუნიკაციას და ყოველი შემთხვევა განიხილება, როგორც სწავლისა და გაუმჯობესების შესაძლებლობა, რათა სამშენებლო მოედანზე პრევენციული ღონისძიებები და უსაფრთხოების სტანდარტები მეტად გაძლიერდეს.

2025 წელს სამშენებლო მოედანზე სულ 13 ინციდენტი დაფიქსირდა. აღნიშნული შემთხვევები ძირითადად მოიცავდა მსუბუქ საწარმოო სახის ინციდენტებს, პირველადი დახმარების სამედიცინო შემთხვევებს, ტექნიკასა და ტრანსპორტთან დაკავშირებულ ინციდენტებს, ასევე ამინდის გაუარესებით გამოწვეულ რამდენიმე შემთხვევას, რომლებმაც მხოლოდ მსუბუქი ან საშუალო მატერიალური ზიანი გამოიწვია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საანგარიშო პერიოდში ფატალური შემთხვევა ან მუდმივი შრომისუნარობა არ დაფიქსირებულა. ყველა შემთხვევაზე რეაგირება განხორციელდა დადგენილი საგანგებო რეაგირებისა და სამედიცინო პროცედურების შესაბამისად, რაც ადგილზე სამედიცინო მზადყოფნისა და ინციდენტებზე რეაგირების მექანიზმების ეფექტიანობას ადასტურებს.

### **დაფიქსირებული ინციდენტების, მათი შინაარსისა და დეტალების გასაცნობად, გთხოვთ იხილოთ დანართი #2. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ინციდენტების ჟურნალი**

თანამშრომელთა დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, თითოეული თანამშრომლის ჯანმრთელობა დაზღვეულია მაღალი ხარისხის სადაზღვევო მომსახურებით. პირადი დაცვის საშუალებები (PPE) გაიცემა რეგულარულად, რაც უზრუნველყოფს სამუშაო გარემოში უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტების მუდმივად დაცვას.

2025 წლის განმავლობაში სამუშაოსთან დაკავშირებული ინსტრუქტაჟები (Toolbox Talks) და რეგულარული შრომის უსაფრთხოების ტრენინგები რჩებოდა ჩვენი ოპერაციების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად. აღნიშნული აქტივობები მიზნად ისახავს როგორც თანამშრომლების, ისე ობიექტის სტუმრების ინფორმირებულობასა და უსაფრთხოების პროტოკოლების მაღალ დონეზე ცოდნას.

ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები ასახავს 2025 წელს ჩატარებული შრომის უსაფრთხოების თემატიკაზე ჩატარებული ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების რაოდენობრივ მონაცემებს. თემატიკა

მოიცავდა ტექნიკურ ცოდნას, პროფესიულ უსაფრთხოებას და შესაბამისობის უზრუნველყოფას მოქმედ კანონმდებლობასთან.


- ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა 59
- ჩატარებული საინფორმაციო სესიების რაოდენობა 77
- ჩატარებული ინსტრუქტაჟების რაოდენობა 83

შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებული ინსტრუქტაჟები ასევე ტარდებოდა იმ ვიზიტორებისთვის, რომლებიც პროექტის სამშენებლო არეალს სტუმრობდნენ. ანგარიშგების პერიოდში ჩატარდა ერთი ასეთი სესია ბახვი 2 ჰესის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მრჩეველთა საბჭოს<sup>3</sup> წევრებისთვის. ჯამში შეხვედრას 10 მონაწილე დაესწრო.

ფოტო #15: მრჩეველთა საბჭოს წევრების ვიზიტი სამშენებლო მოედანზე



ფოტო #16: ტრენინგი დასაქმებულებისთვის



### ადგილობრივი სამუშაო ძალის მართვა

ჰიდროელექტროსადგურის განვითარების საწყის ეტაპზევე ბახვი 2 ჰესი პრიორიტეტს ანიჭებდა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, რაც თემის ჩართულობისა და ეკონომიკური ინკლუზიის მნიშვნელობის გააზრებას ეფუძნებოდა. პროექტის განხორციელების ადრეულ წლებში ზემოქმედების ქვეშ მყოფ სოფლებში კარდაკარ კვლევა ჩატარდა, რომლის მიზანი ადგილობრივი მოსახლეობის კვალიფიკაციის, დასაქმების ინტერესებისა და სასურველი პოზიციების შეფასება იყო. აღნიშნული კვლევის შედეგები მშენებლობის მთელი ფაზის განმავლობაში გამოიყენებოდა სამუშაო ძალის დაგეგმვის პროცესში, რაც დასაქმების შესახებ გადაწყვეტილებებს მთისპირის თემის მოლოდინებზე მორგებულს ხდიდა. სტრატეგიის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს, შესაძლებლობის ფარგლებში, თითოეული ოჯახიდან მინიმუმ ერთი ადამიანის დასაქმება წარმოადგენდა.

დასაქმების პოზიციები დაყოფილი იყო კვალიფიკაციის დონეების მიხედვით. განისაზღვრა კვალიფიციური, ნახევრად კვალიფიციური და არაკვალიფიციური პოზიციები, რაც უზრუნველყოფდა თითოეული ადამიანის მისი კომპეტენციისთვის შესაბამის პოზიციაზე დასაქმებას.

2025 წლის განმავლობაში ბახვი 2 ჰესზე სულ 95 თანამშრომელი მუშაობდა. მათგან 42 ადგილობრივი მაცხოვრებელი იყო, რაც სამუშაო ძალის დაახლოებით 44%-ს შეადგენდა. ქალთა რაოდენობა 22 თანამშრომელს, ანუ სამუშაო ძალის დაახლოებით 23%-ს შეადგენდა, რაც ასახავს ჰესის ძალისხმევას გენდერული ინკლუზიის ხელშეწყობის მიმართულებით სექტორში, რომელიც ტრადიციულად

<sup>3</sup> ბახვი 2 ჰესის გარემოსდაცვითი და სოციალური მრჩეველთა საბჭო წარმოადგენს უნიკალურ, დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც კომპანიის ინიციატივით შეიქმნა. საბჭო დაკომპლექტებულია 10 წარმომადგენლისგან, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობიდან, კერძო სექტორიდან და მედიის სფეროდან არიან წარმოდგენილნი.

მამაკაცების დომინირებით გამოირჩევა.

კომპანია თანამშრომლებს სთავაზობს არა მხოლოდ ენერგეტიკის სექტორში კონკურენტულ ანაზღაურებას, არამედ სრულ სოციალურ პაკეტსაც, რომელიც მოიცავს ჯანმრთელობის დაზღვევას, ტრანსპორტით უზრუნველყოფას, კვებას, პერსონალურ დამცავ აღჭურვილობას (PPE) და სამუშაო ფორმებს.

### **დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა**

ბახვი 2 ჰესისთვის წარმატება მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ ადგილობრივი თემების კეთილდღეობასთან, რომელთა სოციალურ და ეკონომიკურ გარემოში კომპანია საქმიანობას ახორციელებს. ვაღიარებთ, რომ ყველა დაინტერესებულ მხარესთან შინაარსიანი თანამშრომლობა არის ნდობის შექმნის, თანამშრომლობის გაღრმავებისა და საერთო კეთილდღეობის მიღწევის საფუძველი. ამ ურთიერთობების მყარი საყრდენი კი გამჭვირვალობა, ღია დიალოგი და უწყვეტი განვითარებაა.

პროექტის დაწყებისთანავე, დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია ბახვი 2 ჰესის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება გახდა. კომპანიის მიერ შემუშავდა კომპლექსური დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (SEP), რომელიც დამტკიცდა დირექტორის, ჰოლდინგის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხებისა და მდგრადობის მიმართულების ხელმძღვანელისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რათა უზრუნველყოფილიყო მისი შესაბამისობა დაინტერესებული მხარეების პრიორიტეტებთან. გეგმა განსაზღვრავს მრავალრიცხოვან, თანმიმდევრულ და გამჭვირვალე კომუნიკაციას, მათ შორის, შეხვედრებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან, თემის საერთო შეკრებებსა და კარდაკარ შეხვედრების ჩატარებას. ამ არხებით მიღებული უკუკავშირი აქტიურად გამოიყენება ჩართულობის სტრატეგიების გასაუმჯობესებლად და პროექტის განხორციელების გეგმების დასაზუსტებლად.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების მენეჯერი და თემთან ურთიერთობის ოფიცერი ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ძირითად საკონტაქტო პირებად რჩებიან. აღნიშნული პირდაპირი საკომუნიკაციო არხების შენარჩუნება საშუალებას გვაძლევს, თითოეული შემთხვევაზე, კითხვა თუ საჩივარი განვიხილოთ დროულად, გამჭვირვალედ და პასუხისმგებლობით. ასეთი პროაქტიული და გახსნილი მიდგომა ხელს უწყობს გრძელვადიანი ნდობის ჩამოყალიბებას და უზრუნველყოფს პოტენციური რისკების დროულ გამოვლენას, რაც მნიშვნელოვანია პროექტის განხორციელების ვადების დაცვისთვის.

გასული წლებისგან განსხვავებით, როდესაც კარდაკარ შეხვედრები აქტიურად ტარდებოდა, 2025 წელს ინფორმაციის გავრცელების ძირითადი არხები იყო ყოველთვიური ახალი ამბების ფურცელი და ადგილობრივი მედია, რაც უზრუნველყოფდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ჰესის საქმიანობის მიმდინარეობისა და მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ მუდმივად ინფორმირებული ყოფილიყო. ამავდროულად, კომპანია აგრძელებდა პირდაპირ კომუნიკაციას პროექტის ზემოქმედების არეალში მცხოვრებ ოჯახებთან.

იმის გათვალისწინებით, რომ მშენებლობის დასკვნით ეტაპებზე ხშირად ჩნდება კითხვები დასაქმებასა და სამუშაოების ვადებთან დაკავშირებით, კომპანიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო თემის წევრებთან ადრეულ, ღია და გამჭვირვალე კომუნიკაციას მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ, მათ შორის სამშენებლო სამუშაოების ეტაპობრივ შემცირებასა და მასთან დაკავშირებულ სამუშაო ძალის ცვლილებებზე. აღნიშნულმა კომუნიკაციამ ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება მისცა უკეთ გაეაზრებინა ჰესის საქმიანობის გარდამავალი ეტაპი და მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე შეკითხვები ან მოსაზრებები უშუალოდ ბახვი 2 ჰესის გუნდთან გაეზიარებინა.

ანგარიშგების პერიოდში, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის მიმართულების ხელმძღვანელი და თემთან ურთიერთობის ოფიცერი დაინტერესებული მხარეებისთვის ძირითად



საკონტაქტო პირებად რჩებოდნენ. ამ არხების მეშვეობით თემის წევრებს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაესვათ შეკითხვები, გაეზიარებინათ უკუკავშირი ან მიეღოთ დამატებითი განმარტებები ჰესის საქმიანობასთან დაკავშირებით. აღნიშნული პირდაპირი საკომუნიკაციო არხების შენარჩუნება კომპანიას დროული რეაგირების საშუალებას აძლევდა.

ეს ვალდებულება ასევე აისახებოდა საჩივრების მექანიზმში, რომელიც იყო ხელმისაწვდომი, ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული და კონფიდენციალური. თითოეული საჩივარი და თხოვნა რეგისტრირდებოდა, ექვემდებარებოდა მონიტორინგს და განიხილებოდა წინასწარ განსაზღვრულ ვადებში, რაც უზრუნველყოფდა, რომ რეაგირება ყოფილიყო დროული, სამართლიანი და პატივისცემაზე დაფუძნებული.

**საჩივრების მექანიზმი**

2025 წელს საჩივრების მექანიზმის ფარგლებში მიღებულ იქნა სულ 22 თხოვნა, რომელთაგან ორი მოგვიანებით განმცხადებლების მიერ იქნა მოხსნილი, რის შედეგადაც განხილვაში დარჩა 22 აქტიური თხოვნა. აქედან 15 დაკმაყოფილდა, მათ შორის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ტექნიკის დროებით თხოვება, მთისპირის საბავშვო ბაღისთვის ინტერნეტის გადასახადის დაფინანსება და ადგილობრივი სპორტსმენის ფინანსური მხარდაჭერა. მოთხოვნები, რომლებიც ვერ დაკმაყოფილდა, ძირითადად ეხებოდა კომპანიის სოციალური პროგრამის ფარგლებს გარეთ არსებულ აქტივობებს, როგორცაა ექსკურსიების ან კულტურული ღონისძიებების დაფინანსება.

მოთხოვნებთან ერთად, საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ორი საპროტესტო შემთხვევა. ერთი მთისპირის ცენტრალური გზის შეკეთებას უკავშირდებოდა, ხოლო მეორე ადგილობრივი თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლებას. ორივე შემთხვევა განხილულ იქნა კომპანიის დადგენილი საჩივრების მართვის პროცედურების ფარგლებში და საკითხების მოსაგვარებლად ჩართული მხარეებთან გაიმართა დიალოგი.

**სტრატეგიული კომუნიკაცია და საზოგადოების ჩართულობა**

ბახვი 2 ჰესი სრულად აცნობიერებს სტრატეგიული კომუნიკაციის გადამწყვეტ როლს გამჭვირვალობის, ნდობისა და დაინტერესებულ მხარეებთან გრძელვადიანი თანამშრომლობის განმტკიცებაში. სწორედ ამ მიზნით, კომპანიაში 2025 წლის განმავლობაშიც ფუნქციონირებდა საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) გუნდი, რომელიც კოორდინირებულად მუშაობდა გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის საკითხების დეპარტამენტთან. ერთობლივი მუშაობის მიზანია, სოციალურ, გარემოსდაცვით და ოპერაციულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია ეფექტიანად და მიზნობრივად მიეწოდოს საზოგადოებასა და ყველა დაინტერესებულ მხარეს.

2025 წლის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის სტრატეგია დამტკიცდა და წარმატებით განხორციელდა. წლის პირველი ნახევარი ორიენტირებული იყო კამპანიაზე - #ჩვენშევასრულეთდანაპირები, ხოლო მეორე ნახევარში ძირითადი აქცენტი გაკეთდა კამპანიაზე - #მეავაშენებახვიჰესი. სტრატეგიის მიზანს წარმოადგენდა ბახვი 2 ჰესის მიღწევებისა და პროგრესის შესახებ ყველა დაინტერესებული მხარისთვის გამჭვირვალე, სანდო და ერთიანი კომუნიკაციის უზრუნველყოფა.

ანგარიშგების პერიოდში კომუნიკაციის ძირითადი აქცენტი კეთდებოდა პროგრესის, სამუშაო ძალის გარდამავალი პროცესის, გარემოსდაცვით მოთხოვნებთან შესაბამისობისა და თემთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის გაზიარებაზე.

- მთისპირის თემში დაიბეჭდა და გავრცელდა 1 000 ახალი ამბების ფურცელი, რომელმაც მოიცვა დაახლოებით 171 ოჯახი და 500 მაცხოვრებელი;

- რეგიონალურ მედიაში გავრცელდა 44 პრეს-რელიზი, რომელიც ფარავდა საკითხებს კომპანიის მიმდინარე ინიციატივებისა და სიახლეების შესახებ;
- შეიქმნა და გავრცელდა 7 ვიდეო-რგოლი, რომელიც ასახავდა ბახვი 2 ჰესის მიერ განხორციელებულ გარემოსდაცვით და სოციალურ პროგრამებს და აჯამებდა მშენებლობის პროცესს;

2025 წელს გამოქვეყნებული პრეს და ვიდეო რელიზების სანახავად, გთხოვთ ეწვიოთ ბმულს: <https://bakhvihpp.com/>



**გამჭვირვალობის უზრუნველყოფა მედიასთან ურთიერთობის გზით**

გამჭვირვალე კომუნიკაციისა და ინკლუზიური თანამშრომლობისადმი ერთგულების ფარგლებში, ბახვი 2 ჰესის ორგანიზებით 2025 წლის ივნისში, ბათუმში, სასტუმროში „ჰილტონში“, გაიმართა ტრადიციული მედია-ტრენინგი. ის მიზნად ისახავდა სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მიმართულებების შედეგების, ასევე მდგრადობის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობის გაძლიერებას. ღონისძიებამ გააერთიანა ბახვი 2 ჰესის გუნდი და როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები. ღონისძიებამ ხელი შეუწყო ღია დიალოგს, ინფორმაციის გამჭვირვალე გაზიარებას და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე სანდო კომუნიკაციას.

შეხვედრაში მონაწილეობდა 13 ჟურნალისტი, მათ შორის 10 გურიის რეგიონული მედიასაშუალებების წარმომადგენელი, ხოლო 3 ცენტრალური სატელევიზიო არხის ჟურნალისტი. დღის წესრიგი ორ ძირითად ნაწილად იყო დაყოფილი.

თავდაპირველად, ბახვი 2 ჰესის დირექტორმა და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მიმართულებების ოფიცერმა წარმოადგინეს დეტალური პრეზენტაციები, რომლებიც მოიცავდა სამშენებლო სამუშაოების პროგრესს, გარემოსდაცვითი და სოციალური პროგრამების შედეგებს. პრეზენტაციების მიზანი იყო ჰიდროელექტროსადგურის ძირითადი მიღწევების, მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის და მიმდინარე პასუხისმგებლობების მკაფიო, გასაგებ და სისტემურ ფორმატში წარმოდგენა.

შეხვედრის მეორე ნაწილი დაეთმო “საქართველოს განახლებადი ენერჯის ასოციაციის” ხელმძღვანელის (Georgia Renewable Energy Development Association) პრეზენტაციას, სადაც განხილული იყო განახლებადი ენერჯეტიკის სექტორში არსებული ტენდენციები, გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები. შეხვედრის ამ ნაწილმა მონაწილეებს სრულყოფილი წარმოდგენა შეუქმნა როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ ენერჯეტიკულ პროცესებზე და ნათლად წარმოაჩინა ბაზვი 1 ჰესის ადგილი უფრო ფართო ენერჯეტიკული გარდაქმნის პროცესში.

აღნიშნულმა ღონისძიებამ კიდევ უფრო გააძლიერა თანამშრომლობა მედიის წარმომადგენლებთან, ხელი შეუწყო ინფორმაციის გამჭვირვალე გავრცელებას და ჰიდროელექტროსადგურის გარდამავალ ეტაპზე გარე დაინტერესებულ მხარეებთან კონსტრუქციული და ნდობაზე დაფუძნებული დიალოგის განმტკიცებას.



**მრჩეველთა საბჭო: ბაზვი 2 ჰესის გამჭვირვალობის ელჩები**

2025 წელს ბაზვი 2 ჰესმა მრჩეველთა საბჭოს ფორმატის მეშვეობით შეინარჩუნა გამჭვირვალე, ინკლუზიური და მონაწილეობაზე დაფუძნებული დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის პრაქტიკა. თავის მხრივ, მრჩეველთა საბჭოში შეინარჩუნდა გენდერულად დაბალანსებული შემადგენლობა - 5 ქალი და 5 კაცი წევრით, რაც ნათლად ასახავს თანაბარი წარმომადგენლობისა და ინკლუზიური დიალოგისადმი ერთგულებას. ანგარიშგების პერიოდში გაიმართა მრჩეველთა საბჭოს ორი შეხვედრა.

წლის პირველი შეხვედრა ჩატარდა ბაზვი 2 ჰესის საცხოვრებელი ბანაკის ტერიტორიაზე, რამაც საბჭოს წევრებს საშუალება მისცა საკუთარი თვალთ დაკვირვებოდნენ ჰიდროელექტროსადგურის განვითარების პროგრესს. მეორე შეხვედრას კი შემაჯამებელი, გასვლითი ხასიათი ჰქონდა და ის ქუთაისში გაიმართა. ღონისძიების მთავარი თემა წლის განმავლობაში მიღწეული პროგრესი, გარემოსდაცვითი და სოციალური პროგრამის შედეგები, ასევე სამუშაო ძალასთან დაკავშირებული ცვლილებები იყო. ამავდროულად, შეხვედრამ შექმნა სივრცე შეფასებისთვის, უკუკავშირისთვის და მომდევნო ეტაპზე მნიშვნელოვან პრიორიტეტებზე მსჯელობისთვის.

შეხვედრებში მუდმივად მონაწილეობდნენ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების, ტექნიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის გუნდის წარმომადგენლები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ პროფესიონალურ, ყოვლისმომცველ და გამჭვირვალე პასუხებს საბჭოს წევრების კითხვებსა და შენიშვნებზე. ეს არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც ხაზს უსვამს ბაზვი 2 ჰესის გადმოსახედიდან მაღალი სტანდარტით გამართული კომუნიკაციისა და ანგარიშვალდებულების პოლიტიკას.

აღნიშნული შეკრებების მეშვეობით მრჩეველთა საბჭომ 2025 წელსაც შეინარჩუნა მნიშვნელოვანი საკონსულტაციო პლატფორმის ფუნქცია, რომელიც ხელს უწყობდა ნდობის განმტკიცებას, ღია კომუნიკაციასა და დაინტერესებული მხარეების ხედვების გათვალისწინებას ჰიდროელექტროსადგურის გარდამავალ ეტაპზე.

ფოტო #20: მრჩეველთა საბჭოს წევრების ვიზიტი სამშენებლო ბანაკში



ფოტო #21: მრჩეველთა საბჭოს შეხვედრა ოზურგეთში



### სოციალური პროგრამა

ბახვი 2 ჰესში მდგრადი განვითარება არ შემოიფარგლება მხოლოდ ინფრასტრუქტურის შექმნით და ეფუძნება მდგრადობის, ინკლუზიურობისა და ადგილობრივი თემის კეთილდღეობის პრინციპებს. ბახვი 2 ჰესის განვითარების ადრეული ეტაპებიდანვე კომპანია სოციალური პროგრამის განხორციელებისას საჭიროებებზე დაფუძნებულ მიდგომას იყენებდა. პროექტის განვითარების საწყის წლებში ჩატარებულმა ყოვლისმომცველმა საჭიროებების კვლევამ გამოკვეთა ადგილობრივი თემისთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტები, გამოწვევები და მოლოდინები. აღნიშნული მიგნებების საფუძველზე გაგრძელდა 2025 წლის სოციალური პროგრამის აღსრულება, რომელიც ამჯერად 3 ძირითად მიმართულებას მოიცავდა:

- ხარისხიანი განათლება და ახალგაზრდების განვითარება;
- ინფრასტრუქტურული სერვისების განვითარება;
- სპეციალური საჭიროებების მქონე პირების მხარდაჭერა;

2025 წელს აღნიშნული თემატური მიმართულებების ფარგლებში ჯამში 5 სოციალური პროგრამა განხორციელდა, რომლითაც პირდაპირი სარგებელი დაახლოებით 400-მა ადამიანმა მიიღო.

სამშენებლო სამუშაოების ინტენსივობის შემცირებასთან და 2021 წლის მემორანდუმებით ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულებასთან ერთად, 2025 წელს რამდენიმე სოციალური პროექტი ოფიციალურად დასრულდა. ყველა ინიციატივა შეთანხმებული პირობების შესაბამისად განხორციელდა და სრულად მიაღწია დასახულ მიზნებს. მათი დასრულება ასახავს მშენებლობის ეტაპისთვის განსაზღვრული კონკრეტული ვალდებულებების შესრულებას და არ გულისხმობს თემთან ურთიერთობისა და სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით კომპანიის მხარდაჭერის შესუსტებას.

### სოციალური ფონდი მთისპირის თემის გაძლიერებისთვის

ბახვი 2 ჰესის მშენებლობის ფაზით გათვალისწინებული სოციალური ვალდებულებების შესრულების შემდეგ, ადგილობრივი თემების გრძელვადიანი მხარდაჭერის მიზნით, კომპანიამ სოციალური ფონდის შექმნის პროცესი დაიწყო. ინიციატივის ფარგლებში კომპანია ჰესის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ ყოველწლიურად ფონდისთვის 135,000 ლარს გამოყოფს, რომელიც მომავალში სოციალური პროგრამებისა და მთისპირის თემის საჭიროებების დაფინანსებას მოხმარდება. აღნიშნული მიდგომა ბახვი 2 ჰესის ოპერირების ფაზაზე გადასვლის პარალელურად

ამლიერებს კომპანიის გრძელვადიან პარტნიორულ ურთიერთობას ადგილობრივ მოსახლეობასთან.

ბახვი 2 ჰესი კიდევ ერთხელ ადასტურებს პასუხისმგებლიანი განვითარების, ინკლუზიური ზრდისა და ოპერირების არეალში მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის უწყვეტი მხარდაჭერისადმი ერთგულებას.

### **ინკლუზიური სწავლების მხარდაჭერა**

2021 წლიდან ბახვი 2 ჰესი თანამშრომლობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, მთისპირის საჯარო სკოლასთან რათა ახალგაზრდებისთვის, გააფართოოს საგანმანათლებლო შესაძლებლობები. განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების მქონე საზოგადოებაში ცხოვრობს და შეზღუდული წვდომა აქვს არაფორმალურ განათლებაზე. პროგრამა ორიენტირებულია გარემოსდაცვით საკითხებზე, განახლებაზე ენერჯიაზე, პროფესიულ ორიენტაციასა და პროექტების მართვის უნარების განვითარებაზე.

2024–2025 სასწავლო წლის განმავლობაში, პროგრამაში მონაწილეობა მიიღო მთისპირის სკოლის 30-მა მოსწავლემ. მოწვეული ტრენერების ხელმძღვანელობით, შეხვედრებზე განხილული იყო ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორცაა: ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ნარჩენების მართვა, კლიმატის ცვლილება, სტიქიური მოვლენების რისკების მართვა და კარიერის დაგეგმვა. ეს პერიოდი პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროგრამის დასკვნით ეტაპს წარმოადგენდა და საგანმანათლებლო აქტივობების ციკლის წარმატებით დასრულებით აღინიშნა.

გარდა ამისა, გრძელვადიანი საგანმანათლებლო შედეგების მხარდაჭერის მიზნით, კომპანია სწავლის დაფინანსებას სთავაზობს კურსდამთავრებულებს, რომლებიც აგრძელებენ სწავლას ჰიდროენერგეტიკის, ინჟინერიის ან გარემოს დაცვის მიმართულებით. ამ ინიციატივის ფარგლებში, დახმარება მიიღო მთისპირის საჯარო სკოლის ორმა კურსდამთავრებულმა. მათგან ერთ-ერთი სწავლას 2026 წელს დაასრულებს და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტროინჟინერიის ბაკალავრის ხარისხს მოიპოვებს, ხოლო მეორე სწავლას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძობს. მოსწავლეების გამოხატული მისწრაფება შესაბამისი მიმართულებებით უმაღლესი განათლების მიღებისადმი, ნათლად ასახავს ბახვი 2 ჰესის საგანმანათლებლო ინიციატივების მნიშვნელობას ინფორმირებული, მოტივირებული და სოციალურ პასუხისმგებლობაზე ორიენტირებული თაობის ფორმირებაში. გვჯერა, რომ განათლებული და ცნობიერი ახალგაზრდა თაობა ქვეყნის მდგრადი განვითარების საყრდენია. იმის გათვალისწინებით, რომ მხოლოდ თეორიული ცოდნა საკმარისი არ არის, კომპანიამ საგანმანათლებლო პროგრამა შეიმუშავა ისე, რომ არა მხოლოდ აკადემიური, არამედ პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ყოფილიყო ორიენტირებული.

### **ინკლუზიური საზოგადოება მდგრადი განვითარებისთვის**

ბახვი 2 ჰესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ინკლუზიურ განვითარებასა და ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობის მხარდაჭერას. 2025 წელს, ჩვენი სოციალური პროექტების ფარგლებში, სპეციალური საჭიროების მქონე 33 ადამიანი ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას იღებდა, რამაც მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და დამოუკიდებლობის მხარდაჭერას შეუწყო ხელი.

ამ ინიციატივით ვცდილობთ გავაძლიეროთ ისინი, ვისაც განსაკუთრებული გამოწვევები აქვთ, რათა ჰქონდეთ ყველა საჭირო რესურსი სრულფასოვანი, დამოუკიდებელი და ღირსეული ცხოვრებისათვის. ჩვენი სოციალური პასუხისმგებლობა არ შემოიფარგლება მხოლოდ სამშენებლო საქმიანობით, ეს არის მდგრადი და პასუხისმგებლიანი ოპერირება, რომელიც ცვლის ადამიანების ცხოვრებას და პასუხობს მათ ყველაზე გადაუდებელ საჭიროებებს.

**ინფრასტრუქტურის განვითარება**

ბაზვი 2 ჰესის ზემოქმედების არეალში მდებარე მთისპირის თემის ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის მიმართულებით აქტიურად აგრძელებდა სასოფლო გზების შეკეთებას. გასულ წლებში კომპანიამ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა სოფელ უკანავაში, მთისპირსა და ვანისქედში, სადაც ჯამში 8 კილომეტრი მონაკვეთი მოიხრემა და მოსწორდა, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მოსახლეობის გადაადგილების შესაძლებლობა.

გზების მოვლა-შეკეთების სამუშაოები 2025 წლის განმავლობაშიც გაგრძელდა. ანგარიშგების პერიოდში, კომპანიის ძირითადი ყურადღება მიმართული იყო არსებული გზის მონაკვეთების რეგულარულ მოვლაზე, რაც მოიცავდა გზის მოსწორებას, მოხრეშვასა და მორწყვას. გზები ირწყვებოდა მტვრის გავრცელების შესამცირებლად და გზასთან ახლოს მცხოვრები მოსახლეობისთვის დისკომფორტის მინიმუმამდე შემცირების მიზნით, განსაკუთრებით მზიან ამინდებში.



ფოტო #22: გზის მორწყვის სამუშაოები



ფოტო #23: რეაბილიტირებული გზა სოფელ ვანისქედში

**დიდთოვლობა გურიაში და ბაზვი ჰესის მხარდაჭერა მთისპირის თემს**

2025 წლის თებერვალში გურიაში თოვლის სახით უხვი ნალექი მოვიდა - ადგილობრივები ამბობდნენ, რომ ასეთი სიძლიერის თოვა მათ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში არ ახსოვდათ. უჩვეულოდ დიდმა ნალექმა მთისპირის თემში მნიშვნელოვანი შეფერხებები გამოიწვია, ჩაიკეტა გზები, შეიზღუდა გადაადგილება, დაზიანდა საცხოვრებელი სახლები, შეწყდა ელექტროენერჯის მიწოდება. განსაკუთრებული პრობლემები შეექმნათ ხანდაზმულებსა და მოწყვლად ოჯახებს, რომლებიც სახლიდან გამოსვლასაც კი ვერ ახერხებდნენ.


სიტუაციის სიმწვავის გათვალისწინებით, ბაზვი 2 ჰესმა მთისპირის თემის მხარდასაჭერად დაუყოვნებლივ დაიწყო საკუთარი რესურსების მობილიზება. კომპანიამ შეადგინა იმ მაცხოვრებლების სია, ვისაც გადაუდებელი დახმარება ესაჭიროებოდათ, განსაკუთრებული ყურადღება კი მოწყვლად ოჯახებზე გამახვილდა, რადგან მათ სურსათა და პირველადი მოხმარების ნივთებზე წვდომა შეზღუდული ჰქონდათ.

საგანგებო დახმარების ფარგლებში ბაზვი 2 ჰესმა შეიძინა და გაანაწილა პირველადი მოხმარების პროდუქცია, მათ შორის საკვები და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, იმ ოჯახებისთვის, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებდნენ მხარდაჭერას. დახმარებამ მათ შესაძლებლობა მისცა შეზღუდული წვდომის პირობებშიც დაეკმაყოფილებინათ ყოველდღიური, აუცილებელი საჭიროებები.

მატერიალური დახმარების გარდა, ბაზვი 2 ჰესის გუნდმა ტექნიკისა და პერსონალის მობილიზებით დაიწყო გზების გაწმენდა, კომპანიის თანამშრომლები ეხმარებოდნენ მოსახლეობას სახლების გადათოვლაში, ეზოების გაწმენდაში. გზების გაწმენდის სამუშაოებმა გახსნა ის მისასვლელი

მარშრუტები, რომლებიც ძლიერი თოვლის გამო გაუვალი იყო. ჯამში დახმარება შეეხო 24 ოჯახს, რაც დაახლოებით 62 მაცხოვრებელს მოიცავდა.

აღნიშნული ქმედებებით ბახვი 2 ჰესმა მთისპირის თემს დროული და არსებითი მხარდაჭერა გაუწია. კომპანიის რეაგირება ასახავს მის ვალდებულებას, ადგილობრივი მოსახლეობის გვერდით იდგეს არა მხოლოდ ჰესის საქმიანობის განხორციელების პერიოდში, არამედ მოულოდნელი გამოწვევების დროსაც, რაც კიდევ უფრო აძლიერებს თანამშრომლობისა და სოლიდარობის სულისკვეთებას.



### მმართველობის პრაქტიკა

გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და ეთიკური მმართველობა წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელსაც შპს „ბახვი 2“ ეყრდნობა. ამ ანგარიშში, ჩვენს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, ჩვენი კორპორატიული მმართველობის სტრუქტურას და ნორმატიული ჩარჩოებისადმი შესაბამისობას მოიცავს. ჩვენ ვინარჩუნებთ კეთილსინდისიერების უმაღლეს სტანდარტებს. სტრუქტურირებული მმართველობის ჩარჩო წარმოადგენს შპს "ბახვი 2"-ის სამუშაო პროცესის განუყოფელ ნაწილს. აღნიშნული წარმოადგენს ორ დონიან სისტემას, რომელიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოსა და კომპანიის მენეჯმენტისგან. მოცემული იერარქიული სტრუქტურა ზედმიწევნით არის შემუშავებული შპს "ბახვი 2"-ისა და მისი დაინტერესებული მხარეების საუკეთესო ინტერესების დასაცავად. სამეთვალყურეო საბჭო საკუთარ თავზე იღებს გადაწყვეტ როლს შპს "ბახვი 2"-ის ბიზნესის მართვის ზედამხედველობასა და შეფასებასთან დაკავშირებით. სამეთვალყურეო საბჭო მოქმედებს, როგორც მეურვე და უზრუნველყოფს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. მეორეს მხრივ, კომპანიის მენეჯმენტს დაკისრებული აქვს კომპანიის ყოველდღიური ოპერირების მართვის ვალდებულება. ეს მოიცავს კომპანიის სტრატეგიული გეგმის მომზადებას და შესრულებას, საკვანძო დოკუმენტებს, რომელიც დანერგვამდე საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოსათვის წარდგენას დასამტკიცებლად.

ამ ორდონიანი სისტემის შექმნით, შპს „ბახვი 2“ უზრუნველყოფს დაბალანსებულ და ეფექტიან მმართველობით სტრუქტურას, რომელიც ხელს უწყობს ბახვი 2 ჰესის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

მოცემული ჩარჩო ოპტიმიზაციას უწევს გადაწყვეტილებების მიღების პროცესებს და ხელს უწყობს მდგრად ზრდას კომპანიისა და მისი დაინტერესებული მხარეების სასარგებლოდ.

გლობალური სტანდარტებისა და ინიციატივების მმართველობის ჩარჩოში ინტეგრირებით, შპს „ბახვი 2“ უზრუნველყოფს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეთიკური ლიდერობის უმაღლესი დონის შენარჩუნებას. ეს ძალისხმევა აძლიერებს კომპანიის ვალდებულებას მდგრადი

ზრდის მიმართ, უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეებისთვის გრძელვადიანი ღირებულების შექმნას და ხელს უწყობს ნდობასა და თანამშრომლობას.

სიხარულით აღვნიშნავთ, რომ 2025 წლის გაზაფხულზე ბაზვი 2 ჰესმა პირველად წარადგინა გაეროს გლობალური შეთანხმების ფარგლებში პროგრესის წლიური ანგარიში, რაც კომპანიისთვის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო მდგრადი განვითარების პრინციპებისადმი ერთგულების დადასტურების მიმართულებით. აღნიშნული ანგარიშის საშუალებით კომპანიამ წარმოაჩინა, თუ რა ნაბიჯები გადაიდა ადამიანის უფლებების დაცვის, შრომითი სტანდარტების, გარემოს დაცვისა და კეთილსინდისიერი მმართველობის პრინციპების დანერგვისა და პრაქტიკაში განხორციელების კუთხით, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი პასუხისმგებლიანი საქმიანობის, გამჭვირვალობისა და საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრის მნიშვნელობას.

## დასკვნა

2025 წელი ბაზვი 2 ჰესისთვის გარდამავალი და მნიშვნელოვანი ეტაპი იყო, რომელიც ერთდროულად აერთიანებდა აქტიური სამშენებლო სამუშაოების დასრულებისკენ მიმართულ პროცესებს, სოციალური პროგრამების შედეგების შეჯამებას და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მიმართულებების მდგრად გაძლიერებას. წლის განმავლობაში მიღწეულმა შედეგებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ბაზვი 2 ჰესის განვითარება ეფუძნებოდა პასუხისმგებლიან მიდგომას, გამჭვირვალე კომუნიკაციასა და დაინტერესებულ მხარეებთან ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას.

ადგილობრივ თემებთან ღია კომუნიკაცია, საჩივრებისა და მოთხოვნების მართვის მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირება და სოციალური პროგრამის ფარგლებში მემორანდუმით გათვალისწინებული შვიდივე ვალდებულების სრულად შესრულება 2025 წლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად იქცა. პარალელურად, გარემოსდაცვითი მონიტორინგი და რეკულტივაციის სამუშაოები უწყვეტად მიმდინარეობდა, რაც ადასტურებდა, რომ პროექტის ზემოქმედება მინიმალური იყო და სრულად შეესაბამებოდა როგორც ადგილობრივ კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისო სტანდარტებს.

მშენებლობის დასკვნით ეტაპზე დასაქმების მიმართულებით განხორციელებული ცვლილებები იყო წინასწარ დაგეგმილი, გამჭვირვალე და პასუხისმგებლიანი გეგმის შესაბამისად, ხოლო ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოება მთელი წლის განმავლობაში ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩებოდა.

მმართველობის მიმართულებით დამატებითი ყურადღება დაეთმო შიდა პროცედურებისა და დოკუმენტაციის კონტროლის გაძლიერებას.

საერთო ჯამში, 2025 წელს ბაზვი 1 ჰესმა გარდამავალ ეტაპზეც მკაფიოდ დაადასტურა პასუხისმგებლიანი ინფრასტრუქტურული განვითარების, მდგრადი მართვისა და დაინტერესებულ მხარეებთან ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობისადმი ერთგულება, რითაც შექმნა მყარი საფუძველი განვითარების შემდგომი ეტაპისთვის.

**დანართი #1. 2025 წელს ჩატარებული კვლევების რაოდენობა, მიმართულებები და კვლევის განმახორციელებლები**

ცხრილი 1. ჩატარებული კვლევების რაოდენობა

კვლევის არეალი	ჩატარებული კვლევების რაოდენობა	შემსრულებელი
ჰაერის ხარისხი	4	„დგ კონსალტინგი“
ხმაური და ვიბრაცია	4	„დგ კონსალტინგი“
ზედაპირული წყლების ხარისხი	4	„დგ კონსალტინგი“
გეოლოგიური პროცესები	1	ლევან ქებულაძე - შპს „გეოსტანდარტი“
ჰაბიტატები და მცენარეული საფარი	2	ნიკო ქერდიყოშვილი – ეკოლოგიის მაგისტრი, თბილისის ზოოპარკის სამეცნიერო პროგრამების მმართველი
ცხოველები, ფრინველები, ამფიბიები და რეპტილიები	2	ნიკო ქერდიყოშვილი – ეკოლოგიის მაგისტრი, თბილისის ზოოპარკის სამეცნიერო პროგრამების მმართველი
მდინარე ბაზვისწყლის ბიომრავალფეროვნება	3	გიორგი ზაალიშვილი – ბიოლოგიის მაგისტრი (სპეციალიზაცია ჰიდრობიოლოგია-იქთიოლოგია)

ცხრილი 2. ბიომრავალფეროვნების კვლევის შედეგები

2025 წლის მაჩვენებელი	ფაქტობრივი 2025 წელი
კვლევის დროს დაფიქსირებული ძუძუმწოვრების სახეობების რაოდენობა	9
კვლევის დროს დაფიქსირებული, საქართველოს წითელი წიგნით დაცული ძუძუმწოვრების სახეობების რაოდენობა	2
კვლევის დროს დაფიქსირებული ჩიტების სახეობების რაოდენობა	27
კვლევის დროს დაფიქსირებული, წითელ ნუსხაში მყოფი ჩიტების სახეობების რაოდენობა	0
კვლევის დროს დაფიქსირებული რეპტილიებისა და ამფიბიების სახეობების რაოდენობა	9
კვლევის დროს დაფიქსირებული, IUCN-ისა და საქართველოს წითელი ნუსხით დაცული რეპტილიებისა და ამფიბიების სახეობების რაოდენობა	2
კვლევის დროს დაფიქსირებული ღამურების სახეობების რაოდენობა	9

ცხრილი 3. მდინარე ბაზვისწყლის ბიომრავალფეროვნების კვლევის შედეგები

2025 წლის მაჩვენებელი	ფაქტობრივი 2025 წელი
მდინარე ბაზვისწყალში დაფიქსირებული თევზების სახეობის რაოდენობა (ნაკადულის კალმახი)	1
მონიტორინგის პერიოდში მდინარე ბაზვისწყალში დაჭერილი თევზების რაოდენობა	8
მონიტორინგის პერიოდში მდინარე ბაზვისწყალში დაჭერილი თევზების ჯამური ბიომასა	187 ბ



მდინარე ბახვისწყლის მაკროუხერხემლოების ტაქსონომიური მრავალფეროვნება რიგისა და ოჯახების რაოდენობა	9/33
--	------

დანართი #2. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ინციდენტების ჟურნალი

N	თარიღი	კატეგორია	მოკლე აღწერა	შემდგომი რეაგირება
1.	16.01.2025	პირველადი დახმარება	ბახვი 2-ის ძალოვანი ტრანსფორმატორის ზონაში ყალიბის საყრდენების დემონტაჟისას ქვეკონტრაქტორი კომპანიის თანამშრომელი სიმაღლიდან ჩამოვარდა. შემთხვევის მიზეზი გახდა ის, რომ თანამშრომელს უსაფრთხოების ღვედი სათანადოდ არ ჰქონდა დამაგრებული და სველ მილზე ფეხის გაცურების შედეგად მსუბუქი დაზიანება მიიღო. ადგილზე მას დაუყოვნებლივ გაეწია პირველადი სამედიცინო დახმარება, რის შემდეგაც რეკომენდაციის საფუძველზე ორი დღის განმავლობაში დაისვენა.	ჩატარდა დამატებითი ინსტრუქტაჟი სიმაღლეზე მუშაობისა და პერსონალური დაცვის საშუალებების სათანადოდ გამოყენების მიმართულებით
2.	26.01.2025	პირველადი დახმარება	არმატურის გადაადგილებისას, ქვეკონტრაქტორი კომპანიის თანამშრომელმა იდაყვის ძვლის მოტეხილობა მიიღო. დაჭიმული არმატურა მოულოდნელად დაიძრა, ჯერ ექსკავატორს შეეხო, შემდეგ კი თანამშრომელს ხელზე მოხვდა. დაზარალებულს სრული სამედიცინო დახმარება გაეწია ოზურგეთის საავადმყოფოში.	ჩატარდა დამატებითი ინსტრუქტაჟი ფარული საფრთხეების შესახებ
3.	13.02.2025	სატრანსპორტო შემთხვევა	გაჩერებული Toyota ბრენდის პიკაპი მოყინულ ზედაპირზე უკუსვლით დაგორდა და ექსკავატორს შეეჯახა, შედეგად კი მხოლოდ მატერიალური ზიანი დაფიქსირდა.	ჩატარდა დამატებითი ინსტრუქტაჟი მძღოლებისთვის და გამკაცრდა ზამთრის პერიოდში მოქმედი უსაფრთხოების წესები
4.	22.03.2025	პირველადი დახმარება	კონტრაქტორი კომპანიის საცხოვრებელ ბანაკში დასაქმებულს გამოხატული ჰქონდა გულის შესაძლო პრობლემა. ადგილზე ექიმის რეკომენდაციით იგი დაუყოვნებლივ გადაიყვანეს გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისთვის, სადაც წარმატებით ჩაუტარდა კორონარული შუნტირების ოპერაცია.	კონტრაქტორმა კომპანიამ მიიღო შეუსაბამობის ანგარიში (NCR), რომლის საფუძველზეც დაევალა დასაქმების პროცედურების განახლება, სადაზღვეო პოლისის უზრუნველყოფა და სამუშაო ძალასთან დაკავშირებული შესაბამისობის ყოველკვირეული ანგარიშგება
5.	03.05.2025	მცირე ინციდენტი	სამუშაო პროცესში შემდუღებელს არტერიული წნევა მოულოდნელად მოემატა. იგი პრევენციული სამედიცინო შემოწმებისთვის ოზურგეთის საავადმყოფოში გადაიყვანეს და იმავე დღეს გაწერეს	50 წელს გადაცილებული ყველა თანამშრომლისთვის სავალდებულო სამედიცინო შემოწმება
6.	04.06.2025	მცირე ინციდენტი	ბახვი 2-ის საცხოვრებელ ბანაკთან ხარაჩოს მასალების გადმოტვირთვისას შესაბამისი კვალიფიკაციის არ მქონე პირს მანიპულატორის კაუჭი ცხვირის არეში მოხვდა. სამედიცინო შემოწმებით მოტეხილობა არ დადასტურდა და რეკომენდაციის საფუძველზე სამდღიანი დასვენება განესაზღვრა.	გამკაცრდა წესი, რომლის მიხედვითაც გადმოტვირთვის სამუშაოებს მხოლოდ უფლებამოსილი პირები ასრულებენ და შრომის უსაფრთხოების ოფიცრის წინასწარი ინფორმირება სავალდებულოა
7.	05.06.2025	სატრანსპორტო შემთხვევა	მილსადენის მიმდებარედ მომუშავე ექსკავატორს ფერდობიდან ჩამოშლილი ქვები დაეცა, რის შედეგადაც დაზიანდა კაბინა და საქარე მინები	შემოწმდა ექსკავატორების კაბინის დამატებითი დამცავი დამაგრება და ფერდობიან უბნებზე გაიზარდა მედროშეების რიცხვი
8.	10.07.2025	პირველადი დახმარება	ბახვი 2 ბ ჰესის შენობაში მონტაჟის სამუშაოებისას ინსტრუმენტის მოცურების შედეგად დასაქმებულმა ხელის მსუბუქი დაზიანება მიიღო. ადგილზე პირველადი	გაიცა რეკომენდაცია ვიზრაციის საწინააღმდეგო ხელთათმანების გამოყენებაზე და გამკაცრდა ყურადღება

			დახმარება გაეწია, ხოლო საავადმყოფოში ჩატარებულმა შემოწმებამ მხოლოდ რბილი ქსოვილის დაზიანება დაადასტურა.	ხელით შესასრულებელი სამუშაოების დროს.
9.	22.07.2025	არ შემდგარი შემთხვევა საკუთრების დაზიანებით	ძლიერმა წვიმამ გამოიწვია უეცარი წყალმოვარდნა და ქვათაცვენა, რის შედეგადაც ტექნიკასა და ინფრასტრუქტურას მატერიალური ზიანი მიადგა. შემთხვევის დროს ძლიერი წვიმის გამო ადგილზე თანამშრომლები არ იმყოფებოდნენ და შესაბამისად არავინ დაზიანებულა	შემდგომ გაწმენდითი სამუშაოები ჩატარდა შრომის უსაფრთხოების სრული მონიტორინგის პირობებში
10.	06.09.2025	არ შემდგარი შემთხვევა საკუთრების დაზიანებით	მძიმე ტვირთების გადაზიდვისას დაფიქსირდა ორი სატრანსპორტო ინციდენტი. ორივე შემთხვევაში ტვირთის არასათანადო დამაგრებამ და შეუსაბამო სატრანსპორტო პლატფორმის გამოყენებამ გამოიწვია მატერიალური ზიანი, თუმცა არავინ დაშავებულა	დაწესდა ლითონის ჩარჩოიანი სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო გამოყენება, ტვირთის მინიმუმ ოთხ წერტილში დამაგრება, ცივბო გზებზე დამატებითი უსაფრთხოების ზომები და მიზნობრივი ინსტრუქტაჟები
11.	20.11.2025	სატრანსპორტო შემთხვევა	კონტრაქტორი კომპანიის მიკროავტობუსი ვიწრო გრუნტიან გზაზე ზედაპირის ჩაშლის გამო გადაბრუნდა. მძღოლი არ დაშავებულა და დადასტურდა, რომ შემთხვევის დროს ფხიზელ მდგომარეობაში იყო.	ჩატარდა მიზნობრივი ინსტრუქტაჟი გრუნტიან გზებზე უსაფრთხო მართვის წესების გასამკაცრებლად
12.	02.12.2025	მცირე დაზიანება	ქვეკონტრაქტორი კომპანიის ექსკავატორის ოპერატორმა შეკეთების მცდელობისას ფოლადის ნატეხის მოხვედრის შედეგად ფეხის მსუბუქი დაზიანება მიიღო. ადგილზე მას პირველადი დახმარება გაეწია, შემდგომ ოზურგეთის საავადმყოფოში ჩაუტარდა გამოკვლევა და სამი დღის განმავლობაში სრულად გამოჯანმრთელდა.	ჩატარდა მიზნობრივი ინსტრუქტაჟი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების უსაფრთხო პრაქტიკის შესახებ.

დანართი #3. მთისპირის თემთან 2021 წელს ხელმოწერილი მემორანდუმი



ურთიერთგაგების მემორანდუმი

კომპანია შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-სა

და

მთისპირის თემის ადგილობრივ მოსახლეობას შორის

მთისპირი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

1 დეკემბერი, 2021 წ.

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ გეგმავს მდ. ბახვისწყალზე 10.9 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „ბახვი 1 ჰესის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

ყველა საჭირო ნებართვის (მათ შორის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისა და სამშენებლო ნებართვის) მოპოვებისა და სამშენებლო ფაზაზე გადასვლის შემდეგ, „ბახვი 1 ჰესის“ პროექტის ფარგლებში, კომპანია იღებს ვალდებულებას „ბახვი 1 ჰესის“ მშენებლობის პერიოდში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მთისპირის თემის სოფლების (მთისპირი, ოქროსქედი, უკანავა, ვანისქედი) მოსახლეობას შესთავაზოს სოციალური პროექტები, რომელთა განხორციელების საჭიროებად ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა:

1. კომპანია პროექტის მშენებლობის პროცესში უპირატესობას მინიჭებს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას (სამშენებლო სამუშაოების მოთხოვნისა და მოსახლეობის კვალიფიკაციის შესაბამისად)
2. კომპანია მოაწესრიგებს მთისპირის თემის შიდასასოფლო გრუნტის გზებს
3. კომპანია განაგრძობს მთისპირის საჯარო სკოლისა და საბავშვო ბაღის მხარდაჭერას
4. კომპანია ხელს შეუწყობს და ფინანსურ მხარდაჭერას გაუწევს მთისპირის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებს, ვინც ჩაირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჰიდროენერგეტიკის, საინჟინრო ან გარემოსდაცვით სპეციალობებზე
5. კომპანია მთისპირის საჯარო სკოლაში ორგანიზებას გაუწევს საგანმანათლებლო სემინარებისა და შემეცნებითი გაკვეთილების კურსს განახლებადი ენერჯის, ინოვაციებისა და ეკოლოგიის მიმართულებით
6. კომპანია შეისწავლის მთისპირის თემში მაცხოვრებელი მშპ (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) პირების საჭიროებებს და განიხილავს მათი დახმარების შესაძლებლობას
7. კომპანია განახორციელებს წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ცალკეულ უბნებში საჭიროებისა და კომპანიის ხელთ არსებული ტექნიკური შესაძლებლობების მიხედვით